გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№19 (914) 3 - 4 მარტი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

მამუკა ხაზარაძე „გუდვილისა“ და „ელიტ ელექტრონიქსის“ დამფუძნებლებს თაღლითობასა და ფინანსურ მაქინაციებში ამხელს

„კატეგორიულად მოვითხოვთ, დაასახელონ კონკრეტული ფაქტები, თიბისი ბანკის რომელ ოთახში დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც ჩვენმა მენეჯმენტმა ხელები გადაუგრიხა ბიზნესმენს და წილები დაათმობინა“

გვ. 6

დაიწყება თუ არა მესამე მსოფლიო ომი

აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა, დიცვამ და კანადამ რუსეთიდან ელჩები გაიწვიეს

გვ. 3

თიბისი ბანკი საქართველოში ემიგრანტული ლიტერატურის ჩამოტანას დააფინანსებს

გვ. 7

ფრანგული სასამართლოს თავზე ნაციონალური დროშა ფრიალებს

გვ. 4

რა კომპრომატებით აშანტაჟებენ ნაციონალები

რა ფარული კავშირი აქვს ზაზა ხატიაშვილს პუტინთან

ნიკოლოზ მჟავანაძე ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელს სასამართლოში უჩივის

გვ. 5

დიტო გელოვანი

ისეთ პონტში...

ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში

რუსუდან ბარამიძის წარმატების საიდუმლო

გვ. 8

ვის „ჩაუშვებს“ ემზარ კვიციანი

გვ. 4

დიტო გელოვანი

ფლაგსტაგში ჩვენს თანამგზავრს დავემშვიდობეთ. როცა იგი ავტომობილიდან გადადიოდა, დავინახეთ, რა სიღატაკემდე დაშვებულიყო ეს ადამიანი, მის უმსგავსო პალტოს ბურტყლები მიჰკრობოდა, მომწვანო ლოყები დიდი ხნის უპარსავი ჰქონდა, ყურებში კი პენსილვანიის, კანზასის, ოკლაჰომის მტვერი ჩაგროვებოდა. დამშვიდობებისას მის კაშნიან სახეზე ოპტიმისტური ღიმილი ათამაშდა: „მალე ყველაფერი მოწესრიგდება, — გვითხრა მან, — იმათ კი ხუთ-ხუთი მილიონი დარჩებათ, მეტი — არც ერთი ცენტი. როცა ფალგსტაგიდან გამოვდიოდით და გეზი გრანდ-კანიონისკენ ავიღეთ, მისტერ ადამსმა გვკითხა...

(ილია ილფი, ევგენი პეტროვი. „ერთსართულიანი ამერიკა“)

ისეთ პონტში...

ძალიან არ მიყვარს და არ მიყვარს კი არა, მაგრადაც მეცინება ხოლმე, ვინმე ვინმეზე რამის შემდეგ რომ იტყვის ხოლმე, ნიღაბი ჩამოიხსნაო, კიდევ ერთხელ ჩამოიხსნა ნიღაბიო, ნამდვილი სახე დაგვანახაო, ჭეშმარიტი სახეო, რაც ერთხელ კიდევ მიუთითებსო... და ა.შ.

ჯერ ერთი, ნიღბის იქით უნდა იყურებოდე და მეორეც — ერთხელ რომ ჩამოიხსნის, მერე რამდენჯერაც უნდა გაიკეთოს და რა ნიღაბიც უნდა მოირგოს, იმ ერთხელ ხომ დაინახე და თუ დაინახე და შეაფასე, იკეთოს ის ნიღბები სახეზე და იყოს, ანუ იმ ნიღაბს სახეზე მოირგებს თუ სადმე სხვაგან გაიკეთებს, ყველაფერი ნათელია და რად უნდა ამას ექსპერტი და ლაი-ლაი?

არა მგონია, რუსეთზე ვინმე დავობდეს, ყველამ კარგად იცის, რა ნაბიჭვარიც არის და რა დღესაც იანუკოვიჩი უკრაინიდან გაიქცა, იმ დღეს უკვე გასაგები იყო, რომ ყირიმში მოხდებოდა ის, რაც მოხდა და რაც ხდება. ხოლო ნაცებს უხაროდათ... მაგრამ რა უხაროდათ ნაცებს? საერთოდ, რა უხარიათ ნაბიჭვრებს? ნაბიჭვრები სხვისი უბედურებით ხარობენ, სხვაგვარად არ შეუძლიათ. სხვაგვარად რომ შეეძლოთ, ნაბიჭვრები არ იქნებოდნენ.

ერთი ნიუსი კიევიდან: „კიევში უკრაინის უმაღლესი რადას შენობის წინ აქცია მიმდინარეობს. როგორც ადგილობრივი მედია იუწყება, რადაში დღეს მინისტრთა კაბინეტის ახალი წევრების დამტკიცების საკითხი უნდა განიხილონ. შეკრებილი მომიტინგეები ითხოვენ, მაიდნის წარმომადგენლებისგან სამუშაო ჯგუფი შეიქმნას, რომელიც ლუსტრაციის შესახებ კანონპროექტს მოამზადებს“.

ყველაზე საგულისხმო კი ის არის, რომ აღნიშნულ აქციას სულ რაღაც ორი ათასი ადამიანი ესწრებოდა.

დანარჩენებმა საქმე გაკეთებულად ჩათვალეს, ქუდი დაიხურეს და უახლოეს ზაბეგალოვკებს მიაშურეს. ყირიმის ამბებამდე რამდენიმე დღე იყო დარჩენილი...

ასეთ დროს სწორედაც რომ ლუსტრაციაა მთავარი, ხოლო ლუსტრაცია სხვა არაფერია, თუ არა გაგება, გაგება იმისა, თუ ვინ ვინ არის და ვინ რა არის.

ჩვენთან რომ ლუსტრაციის კანონი მიეღოთ... მაგრამ ვის უნდა მიეღო? იმას, ვინც კაგებეშნიკებით აავსო მთავრობა? იმას, ვინც პარტკომებით გამოტენა პარლამენტი თუ იმას, ვინც კაგებეს ეფრეიტორი იყო და კაგებეს გენერალი ბიძა კაგებეს გენერლობას პირდებოდა?

„მინდა, მივმართო უკრაინის მოსახლეობას და პირველ რიგში, მათ ბოდიში მოვუხადო“, — განაცხადა იანუკოვიჩმა. სწორედ ბოდიშის მოხდის დროს ანერვიულდა ყოფილი პრეზიდენტი, რამდენიმეწამიანი პაუზა გააკეთა და კალამი, რომელიც ხელში ეჭირა, შუაზე გადატეხა.

ახლა გინდა კალამი გატეხე და გინდა საკუთარი ჰალსტუხი ჩააყოლე ას გრამ „სტოლიჩნაიას“, შეგარგოსო — მაინც არავინ გეტყვის.

„მისი თქმით, „ყველა უჯრედით“ ენატრება საქართველო, მაგრამ ბევრი მიზეზის გამო ამერიკაში წასვლის გადაწყვეტილება მიიღო. ექსპრეზიდენტის განცხადებით, ამ მიზეზებზე „თავის დროზე“ ღიად ილაპარაკებს. როგორც მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, ეს არ გაუკეთებია პირადი მოტივებით და იმისთვის, რომ სხვა ქვეყანას მიუძღვნას თავისი ცხოვრება. „თუმცა, მინდა აქტიური საქმე და, მე რა თქმა უნდა, ვენახის გასხვლით ვერ დავიკავებდი თავს“, — განაცხადა ექსპრეზიდენტმა“.

ნიუსი, ნიუსი, ნიუსი...

„აღმოსავლეთის წაღება რუსეთს არ გამოუვა, რაც შეეხება ყირიმს, იქ მთავარი პრობლემაა რუსული სამხედრო ბაზა და რუსული სამხედრო კონტინგენტის ყოფნა. რუსეთი ყირიმის შემთხვევაში ცდილობს იგივე სცენარის განხორციელებას, რასაც ადგილი ჰქონდა ცხინვალსა და აფხაზეთში, რასაც ადგილი ჰქონდა აჭარაში — ჩვენ ხომ, რეალურად, აჭარა და ჯავახეთი ცხვირწინ ავაცალეთ რუსეთს?! ყირიმში საწყის ეტაპზეა სეპარატიზმი და უკრაინელ ლიდერებთან სწორედ იმაზე მაქვს ყოველდღე ლაპარაკი, რომ თუ ახლა სწრაფად იმოქმედებენ, ვერც იქ განახორციელებს რუსეთი ვერაფერს“, — აღნიშნა მიხეილსააკაშვილმა“.

ნაბიჭვარი, ნაბიჭვარი, ნაბიჭვარი...

ხშირად დასმულ შეკითხვებში (ფრექუენტლყ ასკედ ქუესტიონს) დიდი ხნის განმავლობაში პასუხგაუცემელი იყო ერთი — „როგორ არის ნეხვი ფრანგულად?“ როგორ და აი ასე: ჯისჰელ შააკასჰვილი. და არა მხოლოდ ფრანგულად. ხომ არის ისეთი სიტყვები, ლამის ყველა ენაზე ერთნაირად რომ ჟღერს? ესეც ასეა და ქართულადაც, ფრანგულადაც და ინგლისურადაც ნეხვი ერთნაირად ისე ჟღერს, როგორც ოდნავ ზემოთ მოგახსენეთ. იმედი მაქვს... იმედი მაქვს კი არა, დარწმუნებული ვარ, რომ უკრაინისა და უკრაინელებისთვის ყველაფერი კარგად დასრულდება, იქნება გამარჯვება, მაგრამ სანამ გაიმარჯვებენ, აუცილებლად იქნება პატარ-პატარა მარცხიც, მაგრამ ამას სააკაშვილი აშკარად, ყველას დასანახად ვერ იზეიმებს, როგორც ეს გააკეთა თბილისში, როცა საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტის ოკუპაცია რუსთაველის გამზირზე იზეიმა.

მოკლედ, გაივლის წლები და უკრაინელი გლეხი ბოსელს რომ დაასუფთავებს, იტყვის, ხშირ-ხშირად უნდა გამოვხვეტო, თორემ ძროხების სადგომი სააკაშვილად ყარსო.

ნეხვი, ნეხვი, ნეხვი...

და, ნიუსი: „2007 წლის ნოემბრამდე სამი თვით ადრე, დსთ-ს ერთ-ერთმა ლიდერმა მითხრა, თუ როგორ უთხრა მას პუტინმა, რომ პატარკაციშვილი არევდა სიტუაციას. დსთ-სერთ-ერთი ქვეყნის დედაქალაქში შედგა შეხვედრა პატარკაციშვილსა და „ეფ-ეს-ბეს“ ორ გენერალს შორის რამდენჯერმე. ფედერალურმა საგამოძიებო ბიურომ გამოგვიგზავნა ერთი თვის შემდეგ შეტყობინება, რომ „ეფ-ეს-ბეს“ რამდენიმე გენერალი, კანონიერი ქურდები, მათ შორის უსოიანი, ჩამოსული იყვნენ ერევანში, რათა დახმარებოდნენ ბადრი პატარკაციშვილს საქართველოში არეულობის მოწყობაში“, — აღნიშნა სააკაშვილმა“.

ამ დროს კი, პატარკაციშვილის ოჯახი ზის და იმაზე მსჯელობს, რომელი „ვარსკვლავი“ აცეკვოს და რომელი თურქული სერიალით აწიოს საკუთარი ტელევიზიის რეიტინგი. პატივი და ღირსება ფა-ფუ?

„მისივე თქმით, 26 მაისს, პუტინი ეროვნული დღესასწაულის ჩაშლას ცდილობდა. „სკლეროზი თუ არ გვაქვს, ასე იყო. მახსოვრობა არ უნდა დავკარგოთ. ეროვნული დღესასწაულის ჩაშლა უნდოდათ პუტინის ფულით, პუტინის ინსტრუქციით“, — აღნიშნა სააკაშვილმა“, — ესეც იმ ნიუსიდან არის.

როდის და სად ყოფილა, რომ ეროვნულ უბედურებას ეროვნულ დღესასწაული აღენიშნა?

„ჩვენ ორწლიანი პაუზის შემდეგ აუცილებლად დავბრუნდებით ხელისუფლებაში და არავის წინაშე არ დავხრით თავს, — ეს განცხადება ნაციონალური მოძრაობის წევრმა, ნუგზარ წიკლაურმა ქუთაისში, პარტიის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარის არჩევის დროს გააკეთა. მისი თქმით, ნაციონალური მოძრაობა ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში უფრო გაძლიერდა, რაც იმის დასტურია, რომ ქართველი ხალხი ცვლილებებისთვის მზად არის“, — კითხულობ და ფიქრობ, ვისზე მიუშვა არმაგედონის ზანგი, ნაციონალურ მოძრაობაზე თუ „ქართულ ოცნებაზე“?

მართლა ვერ წარმოვიდგენდი, თუ 1-ლი ოქტომბრის შემდეგ გაივლიდა თითქმის ორი წელი და ხმის ამოღებას გაბედავდნენ წაკლანუგზარა, ხაბაზი-მათხოვარი და სიდედრის აკო. ვერ წარმოვიდგენდი, რომ ერთ სატელევიზიო ეთერს სუნიანი თუთბერიძე დაიკავებდა, მეორეში კი უფერო და უსუნო ნიკა ჩიტიძეს დაეკითხებოდნენ აზრს. როგორ ვიფიქრებდი?

რამდენიმე კვირის წინ ერთმა ყოფილმა მეცხრეარხელმა ჟურნალისტმა სოციალურ ქსელში დაწერა, ჩემმა მაღალჩინოსანმა ნაციონალმა ნათესავებმა მეცხრე არხიდან წამოსვლა მთხოვეს, სანაცვლოდ კი ფულს მთავაზობდნენ, მე შორს გავგზავნე, „ქართულმა ოცნებამ“ კი ზემოთ გაგზავნა — ახლა ორივენი უფრო მაღალ თანამდებობებზე სხედან, ყოველ თვეში პრემიებს იღებენ და დაუფარავად დამცინიანო.

აი, უყურეთ — დარვინის თეორიის ნივთმტკიცებას, გოგა ონიანს, 26 ნაციონალი დაუდგა თავდებში და გაათავისუფლეს, ხოლო ემზარ კვიციანს გია ყარყარაშვილმა, დავით თევზაძემ და კიდევ 28 გენერალმა უთავდებეს, მაგრამ მაინც პატიმრობაში რჩება.

ამიტომაც არის, გენერალური ნაბიჭვარი რომ იქადნის, ორ წელიწადში დავბრუნდებითო. არადა, რომ დაკვირდე, გადათვალ-გადმოთვალო და მიათვალიერ-მოათვალიერო, არსადაც არ წასულან და არც წავლენ, სანამ არ ვეტყვით: „წადით! წადით, თქვენი მსუბუქი ყოფაქცევის დედები და უკანონოდ შობილი მამებიც...“

ამიტომ არის საჭირო ლუსტრაცია, ყველამ უნდა იცოდეს, ვინ რას აკეთებდა, ვინ რას აკეთებს და ვინ რისი გამკეთებელია იქ, სადაც გასაფუჭებელი ლამის აღარაფერი დარჩა.

რა ხდება ამ დროს? აი, რაც: **„ზვიად ძიძიგური გიგი უგულავას კახი კალაძესთან „არაკაცურად მოქცევაში“ ადანაშაულებს.** ამის შესახებ ძიძიგურმა „რუსთავი 2“-ის თოქ-შოუ „პოზიციაში“ განაცხადა, სადაც უგულავამ კალაძე, ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილ უჩა მამაცაშვილთან ერთად, ბიზნესმენებზე ზეწოლაში დაადანაშაულა.

„ბატონმა გიგიმ ბრძანა, გადაყენებული ვარ თუ არა, არჩეული მერი ვარო. კარგია, რომ გადაყენებულია. მე მრცხვენია, რომ ასეთი მერი ჰყავდა თბილისს ამდენი ხნის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ ვიცი, გაღიზიანებულია და რატომაც, ღირსეულად რომ გამოსულიყო, სჯობდა. კახა კალაძე რომ აქ მჯდარიყო და ესაუბრა უგულავას ის, რაც ილაპარაკა, მაშინ გავიგებდი, რა არის და როგორ არის. კაცი აქ არ არის და ასეთი ტიპის ბრალდებები დააბრეხვო და შემდეგ შენს გზაზე წახვიდე, მარტივად რომ ვთქვათ, კაცური საქციელი არ არის. ყველაფერს თავის წესი აქვს. ვიცე-პრემიერი ჩემი მეგობარია და ვურჩევდი, არ გაუყადროს თავი, ამ ზომასა და დონეზე“, — განაცხადა ძიძიგურმა“.

ჰოოო... ისა და, პრეზერვატივების კანონი უკვე მიიღეს? ჩოხებისა და ჩიხტიკოპების კანონიც ხომ მიღებულია? რასა იქმს ზესტაფონში გოგი ქავთარაძე, ხომ დაასაქმა ყველა ნაც-ბოზ-ბანდელი, ვინმე ხომ არ გამორჩენია?

ჰოდაა, მიხეილ მაჭავარიანს დაებადა ლეგიტიმური კითხვა: „არ მესმის, რამ გამოიყვანა წყობიდან კახი კალაძე და რატომ დაკავდა წყევლა-კრულვით“.

კითხვა მართლაც რომ ლეგიტიმურია, ეს კითხვა მეც მაწუხებს. იმ დროს, როცა ნაცებს კარგებს უნდა უკითხავდე და კეთილებს უზანზარებდე, „მეხი კი დაგეცა“ და ეგეთი რამეები აბსოლუტურად უადგილოა.

ერთი ის იყო, იმ „ჟურნალისტზე“, ფარეساშვილზე რომ დაწერა ვიღაცამ — მაგრა კაცურად მოიქცაო და მეორე ეს არის — უგულავას კაცობაზე ელაპარაკებოდე. ორივე არის ჩუკენობა. რა, არა? მესამეც დაგაინტერესებთ: **„მწვანეთა პარტია თბილისის მერის პოსტზე გია გაჩეჩილაძის კანდიდატურას დააყენებს.** მწვანეთა პარტიამ მიიღო გადაწყვეტილება, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გავიდეს დამოუკიდებლად და წარადგინოს მერობისკანდიდატი. როგორც პარტიის პოლიტიკურმა კომიტეტმა გადაწყვიტა, მერობის კანდიდატი ვიქნები მე, გიორგი გაჩეჩილაძე, პარტიის გენერალური მდივანი“, — განაცხადა გია გაჩეჩილაძემ“.

მწვანეებო, ტაში, ტაში...

შემიძლია, დაახლოებით წარმოვიდგინო მწვანეთა პარტიის პოლიტიკური კომიტეტის ის სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გია გაჩეჩილაძის მერობის კანდიდატობის შესახებ: გია გაჩეჩილაძემ შესთავაზა გია გაჩეჩილაძეს, რომ დააყენოს თავისი კანდიდატურა. „რა შანსები გვაქვს?“ — იკითხა გია გაჩეჩილაძემ. საუბარში ჩაერთო გია გაჩეჩილაძე, რომელმაც გია გაჩეჩილაძის წინადადებას დაუჭირა მხარი. „ყველანი რომ შევიკრიბებით, მაშინ გადავწყვიტოთ“, — თქვა გია გაჩეჩილაძემ და ამ დროს კარი შემოაღო გია გაჩეჩილაძემ, რომელმაც მხურვალედ დაუჭირა მხარი გია გაჩეჩილაძის წინადადებას და წარმოადგინა ამჟამად მივლინებაში მყოფი გია გაჩეჩილაძის წერილი — „მხარს ვუჭერ გია გაჩეჩილაძის წამოყენებას თბილისის მერობის კანდიდატად. გია გაჩეჩილაძე“.

არ ვარ ექსპერტი, მაგრამ ხანდახან ზუსტ პროგნოზს ვაკეთებ ხოლმე — თბილისის მერის არჩევნებში გია გაჩეჩილაძე მხოლოდ ერთ ხმას მიიღებს. რა თქმა უნდა, მას ხმას მხოლოდ გია გაჩეჩილაძე თუ მიცემს.

„პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ საერთაშორისო მდივანი არმაზ ახვლედიანი რომში ევროპის სოციალისტური პარტიის საარჩევნო კონგრესს ესწრება. არმაზ ახვლედიანმა ევროპის სოციალისტური პარტიის პრეზიდენტ სერგეი სტანიშევთან, პარტიის გენერალურ მდივან აქიმ პოსტსა და ევროპარლამენტის პრეზიდენტ მარტინ შულცთან შეხვედრისას „ქართული ოცნების“ ევროპის სოციალ-დემოკრატიულ ოჯახში გაწევრიანებასა და საქართველოში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებზე ისაუბრა“, — იმის შესახებ, თუ სად დადის და რას საქმიანობს არმაზ ახვლედიანი, ჩემს მეგობარ სააგენტოს ინფორმაციას მხოლოდ ერთადერთი ვინმე თუ მიაწვდიდა. ვიინ? რა თქმა უნდა — არმაზ ახვლედიანი.

ეგეთები ბევრნი არიან, ძალიან ბევრნი, ხან სად შეძვრებიან და ხან სად, ლუსტრაციის კანონი კი არ ჩანს, ამ კანონის დაწერა ჭრაქის შუქზეც შეიძლება, ყოველგვარი ხუდონისა და ჰუძონის გარეშე და ჭრაქის შუქი იქით იყოს, მარტო ელიავაზე იმდენი უვარგისი საბურავი ყრია...

„ე.წ. მოდულის შენობასთან ადვოკატ გოგა ონიანის მხარდამჭერებმა საბურავები დაწვეს. როგორც მათ განაცხადეს, საბურავების დაწვით მათ შეახსენეს ხელისუფლებას, რომ თუკი ხელისუფლება გონს არ მოვა და გააგრძელებს პოლიტიკურ დევნას, საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას ვიქტორ იანუკოვიჩის ბედი არ ასცდება.

საბურავის დაწვამდე კი აქციის მონაწილეებმა ე.წ. მოდულის შენობის წინ ცოცხალი ჯაჭვი გააკეთეს და გოგა ონიანის დაპატიმრება ასე გააპროტესტეს. ნაციონალური მოძრაობის წევრების თქმით, ეს არის პოლიტიკური დევნა და საქართველოს გოგა ონიანის დაკავებით კიდევ ერთი პოლიტიკური პატიმარი ჰყავს“, — ეს ნიუსი აშკარად საბურავის შუქზე არის შექმნილი და იმავე საბურავის შუქზეც შეიძლება იმის გარჩევა, თუ ვინ ვინ არის, ვინ რა არის და ვის რა უნდა.

ისეთ პონტში, მაგრამ სერიოზულად.

ი.პ. (ისეთ პონტში) აბა, როგორ გგონიათ, რატომ უნდა იმ უბედურს, რომ მილიონერებს ხუთ-ხუთი მილიონი მაინც დაუტოვონ? არ იცით? მაშ, მე გეტყვით: სულის სიღრმეში იგი ჯერ კიდევ იმედოვნებს, რომ ოდესმე თვითონაც მილიონერი გახდება. ამერიკული აღზრდა — ეს საშინელი რამაა, ბატონებო.

(ილია ილფი, ევგენი პეტროვი. „ერთსართულიანი ამერიკა“)

პუტინის ყირიმული ვნებანი — დაიწყება თუ არა მესამე მსოფლიო ომი

გიორგი იაშვილი

ყირიმიდან შემაშფოთებელი ამბები მოდის — კრემლი ნახევარკუნძულის, პრაქტიკულად, ანექსიას ახდენს, რაც მოსალოდნელიც იყო. უკრაინის ჯარი საბრძოლო მზადყოფნაშია და არც ისაა გამორიცხული, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდეს. ცივილური მსოფლიო, როგორც იქნა, აღშფოთება-შეშფოთების რეჟიმს გასცდა. ყოველ შემთხვევაში, სენატორი ჯონ მაკკეინი აშშ-ს პრეზიდენტს მოუწოდებს, ნატო-ს მოკავშირეები შეკრიბოს და დააფიქსიროს, რა დაუჯდება რუსეთს აგრესია.

მაკკეინის ამ ინიციატივას, პირდაპირ თუ ირიბად, ადმირალი **ჯეიმს სტავრიდისიც** იზიარებს, რომელიც აცხადებს: **„ახლა, როდესაც პუტინის ოლიმპიადა დასრულდა, რუსეთის პრეზიდენტმა ნათლად აჩვენა თავის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი — ჰქონდეს გავლენა, თუ სრული კონტროლი არა, უკრაინაზე. მან ფორმალურად მიმართა რუსეთის პარლამენტს, მიეღო ნებართვა იმაზე, რაც უკვე გააკეთა — უკრაინაში ჯარების გაგზავნაზე. რუსეთის ჯარებმა ყირიმი დაიკავეს... მინდა, იმედი ვიქონიო, მაღალი დონის დიპლომატიური განხილვები გაერო-ში, ევროკავშირსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას უზრუნველყოფს, თუმცა იმედი სტრატეგია არ არის, ამიტომ სამომავლო ნაბიჯები უნდა დაიგეგმოს. ნატო-მ სასწრაფოდ უნდა მოიწვიოს რიგგარეშე სესია, გათვალოს ყველა შესაძლო სტრატეგიული ნაბიჯი, იყოს მჭიდრო კონსულტაციების რეჟიმში უკრაინასთან, გაუწიოს კონსულტაცია სამხედრო სფეროში, თუ რა უნდა მოიმოქმედონ შესაძლო კონფლიქტის შემთხვევაში... ბევრი პროვოკაციად ჩათვლის ნატო-ს ყველა მოქმედებას. სამწუხაროდ, ფსონები დიდია და რუსეთი მოქმედებს. უმოქმედობა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მხრიდან შეცდომა და პუტინისთვის სიგნალის გაგზავნაა, რომ მისთვის გზა ხსნილია“.**

მართალია, „ლაითად“, მაგრამ პუტინს თითს ბარაკ ობამაც უქნევს — რუსეთის პრეზიდენტთან 90-წუთიანი სატელეფონო საუბრისას, როგორც თეთრი სახლი იუწყება, ობამამ უკრაინაში რუსეთის მოქმედებები დაგმო და მოუწოდა, თავისი ჯარები უკან, ბაზებზე დააბრუნოს.

ერთი სიტყვით, მსოფლიო ფეხზე დგას. მოვლენები კოსმიური სიჩქარით ვითარდება და არავინ იცის, ხვალ კი არა, თუნდაც ერთი საათის შემდეგ რა მოხდება. პარალელურად, სხვადასხვა სოციალურ ქსელში ვრცელდება მოსაზრება, რომ ყველაფერი ეს, შესაძლოა, მესამე მსოფლიო ომის დაწყების საბაბი გახდეს. ეს შესაძლოა, უტრირებული შეფასებაა, მაგრამ ფაქტია: 21-ე საუკუნის მსოფლიო გადანაწილება გადამწყვეტ ფაზაში შედის.

„თუ დასავლეთი ნებისმიერ ფასად არ დაიცავს უკრაინას, შემდეგი იქნება ბალტიის ქვეყნები, უნგრეთი და ა.შ. ანუ, უშუალოდ, ევროკავშირი. აღარაფერს ვამბობ მოლდოვასა და საქართველოზე. რა აზრი ჰქონდა 20 წლის წინ საბჭოთა კავშირის დაშლას, თუ ისევ ხონჩით უნდა დაუბრუნონ ყველაფერი რუსებს?! თუ ამ გზით რუსეთის შემდგომ დასუსტებასა და დაშლას ცდილობენ?!“ — წერს ქართველი ექსპერტი **ხათუნა ლაგაზიძე** Facebook-ის საკუთარ გვერდზე.

მესამე მსოფლიო ომის საფრთხეს ისიც ზრდის, რომ არსებული ინფორმაციით, აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა, ლიტვამ და კანადამ რუსეთიდან ელჩები გაიწვიეს. ამასთან, ამ დიდ გეოპოლიტიკურ თამაშში თურქეთიც ჩაერთო: როგორც თურქული გაზეთი Hürriyet წერს, ყირიმის მხრიდან დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში, ის, ავტომატურად, თურქეთის შემადგენლობაში მოხვდება. სტატიის მიხედვით, არსებობს დოკუმენტი, რომელიც რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიების მიერ 230 წლის წინ, 1783 წლის 19 აპრილსაა ხელმოწერილი და რომლის ძალითაც, ყირიმის ნახევარკუნძული ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობიდან რუსეთის დაქვემდებარებაში გადავიდა.

„საყურადღებოა ერთ-ერთი პუნქტი, სადაც აღნიშნულია, რომ ყირიმი არ გამოაცხადებს დამოუკიდებლობას და არ გადაეცემა მესამე მხარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ავტომატურად დაბრუნდება თურქეთის შემადგენლობაში. 1991 წელს, როცა სსრ კავშირი დაიშალა და უკრაინამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, თურქეთს უკვე მაშინაც ჰქონდა ფორმალური უფლება, დაებრუნებინა ყირიმის ნახევარკუნძული, მაგრამ მაშინ თურქეთი მხოლოდ ყირიმელი თათრების უფლებების დაცვის მოწოდებით შემოიფარგლა, მაგრამ ახლა იმისთვის, რომ რუსეთს შეუერთდეს, ყირიმმა ოფიციალური კიევისგან დამოუკიდებლობა უნდა გამოაცხადოს და სწორედ ამ დროს, ყოველგვარი საერთაშორისო ნორმების დაცვით, თურქეთს შეუძლია, განაცხადოს: „ყირიმის მმართველობა კონტროლზე ამყავს“, — ნათქვამია თურქულ გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიაში.

სხვათა შორის, თურქეთმა თავის ძალა რუსეთს 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროსაც დაანახა, რაც იმას ნიშნავდა, რომ თუკი რუსული არმია გეზს აჭარისკენაც აიღებდა, იქ წინააღმდეგობის გაწევა თურქეთთან მოუწევს...

რუსი სამხედრო ექსპერტის, **პაველ ფელგენგაუერის** შეფასებით კი, **„უკრაინაში რუსეთის მოქმედებებისა და ყირიმში რუსული სამხედროების შეყვანით დასავლეთსა და რუსეთს შორის გლობალური ხასიათის დაპირისპირება დაიწყო. მოსკოვს გაურთულდება ურთიერთობები როგორც დასავლეთთან, ისე კიევთან“.**

პაველ ფელგენგაუერი პარალელს 2008 წლის აგვისტოს მოვლენებთანაც ავლებს და „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას აცხადებს: **„უკრაინის ხელისუფლება გაცილებით ჭკვიანურად მოიქცა, ვიდრე 2008 წლის აგვისტოში ქართული ხელისუფლება. რუსული პროპაგანდა კი გაიძახის, რომ ყირიმში ე.წ. ბენდერელები რუსებს ავიწროებენ, მაგრამ, რეალურად, იქ კიევიდან არავინ ჩასულა და, თუ ვინმე ვითარების არევითაა დაკავებული, ეს ყირიმში რუსეთის ემისრები არიან. ყირიმში განლაგებული უკრაინული ქვდანაყოფები სამხედრო ბაზებიდანაც კი არ გამოსულან“.**

ერთი სიტყვით, ყირიმის ნახევარკუნძულზე მოვლენები დრამატულად ვითარდება და პუტინი, ალბათ, ფიქრობს, რომ ყველაფერ ამით მოდერნიზებული საბჭოთა კავშირის აღდგენას შეძლებს, თუმცა ნათქვამია, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდა...

ყირიმის რუსული ოკუპაცია ყველაზე, ასე ვთქვათ, ახლობელი საქართველოსთვისაა, ამიტომაც ოპოზიცია ხელისუფლებას მოუწოდებს, გააქტიურდეს. ჩვენთვის რომ ვთქვათ, ოფიციალურ თბილისს ამ კუთხით აქტიურობა არ დაეწუნება — ქვეყნის საგარეო უწყებამ პირდაპირ განაცხადა, რომ რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ აგრესიაც სწორედ ასე დაიწყო.

„რუსეთის ხელისუფლებამ გამოაცხადა გადაწყვეტილება უკრაინაში, ყირიმში რუსეთის მოქალაქეთა დაცვის საბაბით და მდგომარეობის „სტაბილიზებამდე“ დამატებითი სამხედრო ძალის შეყვანის შესახებ, რაც, ფაქტობრივად, სუვერენული, დამოუკიდებელი უკრაინის წინააღმდეგ აგრესიის დაწყებას ნიშნავს და ამას აკეთებს რუსეთი, რომელიც 1994 წლის 5 დეკემბრის ბუდაპეშტის დეკლარაციით, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთთან ერთად, უკრაინის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და საზღვრების ურღვეობის გარანტორია.

მოვუწოდებთ საერთაშორისო თანამეგობრობას სასწრაფოდ მიიღოს გადაუდებელი ზომები სიტუაციის ესკალაციის აღსაკვეთად და მიმართოს ყველა შესაძლო ძალისხმევას, რათა არ დაუშვას უკრაინის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მცდელობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროცესები სავალალო განვითარებას მიიღებს და ამ მორიგი ინტერვენციის შედეგად, ევროპაში ახალი ოკუპაციის მომსწრენი გავხდებით, რისი მაგალითიც საკუთარ თავზე გვაქვს გამოცდილი“, — აღნიშნულია საქართველოს მთავარი დიპლომატიური უწყების განცხადებაში.

ამასთან, ყირიმის მოვლენებზე საგანგებო განცხადებას საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილიც** ავრცელებს, რომელშიც ნათქვამია: **„დღეს უაღრესად საშიში განვითარება მიიღო უკრაინაში, კერძოდ კი, ყირიმში მიმდინარე პროცესებმა. რუსეთის ფედერაციის მიერ სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე პასპორტების დარიგება, სამხედრო ინფრასტრუქტურისა და კონტინგენტის გაძლიერება, ასევე გადაწყვეტილება, შეიარაღებული ძალებით დაიცვან უკრაინაში მაცხოვრებელ „თანამემამულეთა ინტერესები“, სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში უხეში ჩარევაა, რაც ეწინააღმდეგება გაერო-სა და ეუთო-ს ფუძემდებლურ დოკუმენტებს, უგულებელყოფს საერთაშორისო სამართლის საბაზისო პრინციპებს და საფრთხეს უქმნის უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას.**

დაუშვებელია, სახელმწიფოთა ბედი, მათი მომავალი და ტერიტორიული მთლიანობა წყდებოდეს უცხო სახელმწიფოს ზეწოლითა და ძალისმიერი ჩარევით. მოვუწოდებთ საერთაშორისო თანამეგობრობას, არ დაუშვას ახალი კონფლიქტი ევროპაში და გამოიყენოს მის ხელთ არსებული საშუალებები, რათა მოხდეს შესაძლო აგრესიის თავიდან აცილება და შენარჩუნებულ იქნას უკრაინის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა“.

ისე, უკრაინის ანექსია კრემლს, შესაძლოა, ძალიან ძვირად დაუჯდეს. ყოველ შემთხვევაში, ეკონომიკის ექსპერტი **რომან გოცირიძე** მიიჩნევს, რომ ყირიმზე თავდასხმა რუსულ კომპანიებს სერიოზულ ფინანსურ ზიანს მიაყენებს.

„რუსეთს „გაუმართლა“, რომ ეს ამბები შაბათ-კვირას ხდება. ორშაბათს რუსეთის ბირჟები დაიწყებენ ვაჭრობას, ნახავთ, რა მოუვა რუსული კომპანიების აქციებსა და რუბლს მხოლოდ პირველ დღეებში. წარმომიდგენია, რა მოხდება, როცა პირველი სისხლი დაიღვრება! არაფერს ვამბობ სანქციებზე, როცა რუსი ოლიგარქები და მათი კომპანიები, ერთ მშვენიერ დღეს, აღმოაჩენენ, რომ ანგარიშები გაყინულია. უამრავი სხვა სიურპრიზიც ელით. საქართველოსთან ხუთდღიანი ომიდან წელიწადზე მეტი დასჭირდა რუსული კომპანიების აქციებს, ძველ ნიშნულს დაბრუნებოდნენ. ძალიან იზარალეს ყოველგვარი სანქციების გარეშეც. კატასტროფა ელით საომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში“, — წერს გოცირიძე Facebook-ში.

ყირიმის მოვლენებთან დაკავშირებით, განცხადება საქართველოს პრემიერმაც გაავრცელა, რომელიც მიიჩნევს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა არ დაუშვას:

„ჩვენ მძიმედ განვიცდით უკრაინაში, ყირიმში განვითარებულ მოვლენებს, რომელიც რეგიონში ვითარების ესკალაციის სერიოზული კერა ხდება. რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილება, ამ ქვეყანაში დამატებითი სამხედრო ძალის შეყვანის შესახებ, აშკარად ხელყოფს უკრაინის სუვერენიტეტს და საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევაა. ეს გადაწყვეტილება უფრო ფეთქებადს გახდის ვითარებას, რამაც უმძიმესი შედეგები შეიძლება გამოიღოს. კიდევ ერთხელ, გამოვხატავთ სრულ სოლიდარობას უკრაინელი ხალხისა და მათი გადაწყვეტილების მიმართ, ააშენონ ჭეშმარიტად დემოკრატიული ევროპული სახელმწიფო“, — ნათქვამია **ირაკლი ღარიბაშვილის** განცხადებაში.

ფრანგული სასამართლოს თავზე ნაციონალური დროშა ფრიალებს

„კეზერა“ და ქართული პროკურატურის დონდოლაძიზმი

გიორგი იაშვილი

ვერ გეტყვით, რამდენად იყო მოსალოდნელი, საფრანგეთის სასამართლო დავით კეზერაშვილს გაათავისუფლებდა და ქართულ მხარეს მის ექსტრადიციაზე უარს ეტყოდა, მაგრამ ფაქტია: თავდაცვის ყოფილი მინისტრი თავისუფალია. ფრანგმა მოსამართლემ კეზერას „აშეინიკიც“ მოხსნა, „ნამორდნიკიც“, ის სამაჯურიც, რომელიც მის გადაადგილებას აფიქსირებდა და გაუშვა. ისე, ურიგო არ იქნებოდა, ანალოგიური სამაჯურები 2008 წელს მთავრობის წევრებსაც ჰქონოდათ და საინტერესო იქნებოდა, გვენახა, როგორ იციმციმებდნენ მონიტორებზე ამ სამაჯურის მფლობელები აზერბაიჯანისა თუ სომხეთის საზღვართან, თუმცა ისევ კეზერაშვილის საქმეს დავუბრუნდეთ.

ყველამ ვიცოდით, რომ ქართული პროკურატურის ინტერესებს პროკურორი ირაკლი დონდოლაძე იცავდა. კაცი რომ დონდოლაძე იქნება, არ უნდა გაუშვა ასეთ სერიოზულ საქმეზე, მაგრამ რა ვუყოთ, რომ ლამის მთელი პროკურატურა დონდოლაძედაა ქცეული და ის ადამიანები, რომლებზეც ერი და ბერი გაიძახის, დამნაშავეები არიანო, აქეთ გვემუქრებიან, დავბრუნდებით და პასუხს გაგებინებთო?! მათი დაბრუნების რა გითხრათ, მაგრამ ეს რომ მოხდეს, საქართველო ისევ ერთ ციხედ რომ გადაიქცევა, ადვილი მისახვედრია და დონდოლაძეების ნაცვლად, ადეიშვილები და ზოდელავები მოგვევლინებიან.

მოკლედ, ირკვევა, რომ დონდოლაძე საფრანგეთში სულ ტყუილად გაგვიშვია და ბიუჯეტში ბილეთის ფული და სამივლინებო ხარჯები მაინც დავაბრუნებინოთ. ტყუილად იმიტომ, რომ ქართული მხარის ინტერესს, თურმე, ფრანგი (!) პროკურორი იცავდა.

„ძალიან ვწუხვარ, რომ ფრანგი მოსამართლე აღმოჩნდა ისეთი უთანასწორო პირობების წინაშე, როგორიც იყო, ერთ მხარეს, კეზერაშვილის ძვირადღირებული ადვოკატი და, მეორე მხარეს, ფრანგი პროკურორი, რომელმაც, როგორც ჩანს, ძვირადღირებულ ადვოკატს ღირსეული და სათანადო კონკურენცია ვერ გაუწია. ფრანგ პროკურორს ქართველი სამართალდამცველების სახელით ევალებოდა, დაეცვა ჩვენი ინტერესი. ასე ვერ მოხდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ფრანგმა მოსამართლემ კეზერაშვილი რაიმეში გაამართლა“, — ეს სიტყვები საქართველოს იუსტიციის მინისტრს, თეა წულუკიანს ეკუთვნის.

აბა, რა უფლება გვაქვს, ქალბატონ თეას არ დავუჯეროთ, მით უმეტეს, რომ ფრანგებსაც აუცილებლად ეყოლებათ თავიანთი დონდოლაძე, მაგრამ თუ ეგ ვიცოდით, რომ ფრანგი პროკურორი თავს ვერ გაართმევდა, თუ ისიც ვიცოდით, რომ მილიარდერადქცეული კეზერაშვილი ძვირადღირებულ ადვოკატებს დაიქირავებდა, რატომ არ გავამაგრეთ ბრალდება ისეთი ფაქტებით, რომელზეც თვალს ფრანგი მოსამართლეც ვერ დახუჭავდა? ახლა რა გამოდის? — ფრანგულმა სასამართლომ არაპირდაპირ, მაგრამ მაინც დაადასტურა, რომ კეზერაშვილი არ არის დასაჭერი, არ არის დამნაშავე ანუ მასზე საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება პოლიტიკური ნიშნით ნადირობს. ვინ არის იმის გარანტორი, რომ „კეზერას“ გერმანიის, ესპანეთის ან ნებისმიერი სხვა ქვეყნის მოსამართლე არ გაამართლებს, მით უმეტეს, იმის ფონზე, რომ ფრანგი კოლეგის მაგალითი ექნება? ვითომ, კეზერაშვილს ფული შემოელევა და ძვირადღირებულ ადვოკატს ვერ დაიქირავებს თუ დონდოლაძეები შემოგვაკლდება და აქედან არადონდოლაძეს გავუშვებთ?!

სხვათა შორის, ბევრს ავიწყდება, რომ კეზერაშვილი მაშინ დააკავეს, როცა იგი ალბანეთში აპირებდა გადასვლას. ქართული პროკურატურის რა გითხრათ, მაგრამ ევროპულ მედიაში მიანიშნეს, რომ „კეზერა“ ალბანეთში მაინცდამაინც კარგ საქმეზე არ მიდიოდა. ჩვენი ინფორმაციით, აზარტული თამაშების ბიზნესში ჩაბმული კეზერაშვილი ალბანეთში სწორედ ამ თემის გამო მიდიოდა. მოგეხსენებათ, „კეზერა“ საქართველოში „აჭარაბეთის“ აქციებს ფლობდა, რომელიც ახლა დათმო, მაგრამ მის კავშირზე არალეგალურ სათამაშო ბიზნესთან ღიად მიანიშნებენ. რაც შეეხება ალბანეთს, ამ ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი დაჯგუფება მოქმედებს, რომელიც არალეგალური აზარტული თამაშებითაა დაკავებული. სწორედ ალბანურ დაჯგუფებაზე აქვთ ეჭვი, რომ ისეთ წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში, როგორებიც გერმანია, ინგლისი, ესპანეთი და იტალია არიან, საფეხბურთო შედეგებით მანიპულირებენ. ეს, განსაკუთრებით, იტალიაზე ითქმის, სადაც ბოლო ორი წლის განმავლობაში გარიგებულ მატჩებთან დაკავშირებით არაერთმა საფეხბურთო სკანდალმა იფეთქა და, ყველა შემთხვევაში, ხელი ალბანეთისკენ გაიშვირეს. კეზერაშვილის უშუალო კავშირზე საუბარი ამ დაჯგუფებასთან ძნელია, მაგრამ ფაქტია, რომ ადამიანი, რომელთანაც შეკითხვები არამარტო პროკურატურას, არამედ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობასაც აქვს, თავისუფალია.

რეალურად თუ ვიმსჯელებთ, კეზერაშვილის ჩამოყვანა ახლა იმაზე რთული იქნება, ვიდრე სანამ ფრანგული სასამართლო გაუშვებდა. ეს კი, მინიმუმ, იმას ნიშნავს, რომ იმავე საქმეზე ბრალდებული გიგი უგულავა მუდმივად იტყვის, ფრანგებმა კეზერაშვილი გაუშვეს, მე კი ქართული სასამართლო არ მეშვება და ეს რას ნიშნავსო?!

ვის „ჩაუშვებს“ ემზარ კვიციანი

გიორგი იაშვილი

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ნაციონალების მიერ დევნილი პირების გარკვეულმა ნაწილმა რეაბილიტაცია მოახერხა, ნაწილი კი ამის გაკეთებას დღემდე უშედეგოდ ცდილობს. ერთ-ერთი, ვინც პოლიტდევნილის სტატუსს ითხოვდა და ვერ მიიღო, კოდორის ხეობის ყოფილი გუბერნატორი ემზარ კვიციანი გახლდათ, რომელმაც 2006 წელს ხელისუფლებას დაუმორჩილებლობა გამოუცხადა და კოდორში დისლოცირებული სამხედრო შენაერთი „მონადირე“ არ განაიარაღა. იმჟამინდელმა ხელისუფლებამ სპეცოპერაცია ჩაატარა და „მონადირე“ გააუქმა, კვიციანი კი საქართველოდან გაიქცა. ნაციონალებმა კვიციანის თავი ასი ათას ლარად შეაფასეს, მაგრამ ვერ მიიღეს და, როცა „ცხენი“ გაიქცა, მტვრევა „უნაგირს დაუწყეს“ — ციხეში ნორა კვიციანი გამოკეტეს. არაერთმა საერთაშორისო უფლებადამცველმა ორგანიზაციამ აღიარა, რომ ნორა კვიციანი პოლიტიკური ნიშნით იდევნებოდა, თუმცა მან ციხეში 6 წელზე მეტი მაინც გაატარა. სხვათა შორის, თავის დროზე, ემზარ კვიციანმა ნაციონალებს შეუთვალა, ჩემი და გაუშვით და სამ დღეში, რომელ განყოფილებასაც მეტყვით, იქ ჩავბარდებიო. ნაციონალებმა კვიციანს პასუხი გივი თარგამაძის პირით გასცეს, ტერორისტებთან მოლაპარაკებებს არ ვაწარმოებთო.

ასე იყო თუ ისე, ემზარ კვიციანი ჯერ სეპარატისტულ აფხაზეთში, იქიდან კი, რუსეთში აღმოჩნდა და ხელისუფლების, მათ შორის, მათი კრიტიკაც დაიწყო, ვინც შემდეგ ოპოზიციაში წავიდნენ ანუ ნინო ბურჯანაძესა და ირაკლი ოქრუაშვილზე. ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ 2008 წელს უიარაღოდ დარჩენილი მოსახლეობა კოდორში შესულ ოკუპანტებს ვერ გაუმკლავდა და ხეობას, რომელსაც აფხაზეთის ომის შემდეგ 13 წლის განმავლობაში ინახავდა, დღეს აფხაზები და რუსები აკონტროლებენ. ამის შემდეგ კვიციანმა შემოთვალა, ჩემი თუ არ გჯერათ, ახლა ხომ დარწმუნდით, რისთვის განაიარაღეს ადგილობრივი მოსახლეობისგან დაკომპლექტებულია ბატალიონი „მონადირე“ და რისთვის მაიძულეს ქვეყნიდან წასვლაო.

მიუხედავად ყველაფრისა, ახალმა ხელისუფლებამ კვიციანის დაბრუნების თემას თითქოს წაუყრუა — ყოფილი გუბერნატორი პოლიტდევნილთა თავდაპირველ სიაში შეიყვანეს, მაგრამ შემდეგ ამოიღეს, არც ძებნა მოუხსნეს და შეიძლება ითქვას, კვიციანის საქმე ჰაერში გამოკიდეს. მართალია, ნორა კვიციანი ციხიდან გათავისუფლდა და პოლიტიკოსებიც შეაწუხა, ძმის საქმეს ვერაფერი შემატა. „დავიჭერთ!“ — ეს იყო პროკურატურის პასუხი კითხვაზე, თუ რას იზამდა გუბერნატორ-ყოფილის სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, კვიციანმა ჩამოსვლა გადაწყვიტა, რაც სოციალური ქსელით დააანონსა. აეროპორტში კვიციანს ნათესავები და მეგობრები დახვდნენ, მაგრამ მისი ნახვა ვერავინ მოახერხა — საბაჟო პუნქტის გადმოკვეთისთანავე, დააპატიმრეს და ჯერ ე.წ. მოდულის შენობაში გადაიყვანეს, შემდეგ კი გლდანის ციხეში.

ბევრი ვარაუდობს, რომ კვიციანის ჩამოსვლა ხელისუფლებასთან შეთანხმებულია და ის ფასდაუდებელ ჩვენებებს მისცემს. სხვათა შორის, ანალოგიური ვითარება იყო მაშინ, როცა ევროპიდან ირაკლი ოქრუაშვილი დაბრუნდა, მაგრამ ოქრუაშვილმა, რეალურად, მხოლოდ თავი იმართლა, სასჯელი მოიხსნა და ახლა ამბობენ, შეიძლება, გორის მერობის კანდიდატადაც კი მოგვევლინოსო. ალბათ, არავინ დაიჯერებს, რომ ოქრუაშვილს პროკურატურისთვის მოსაყოლი არაფერი ექნებოდა, მაგრამ ეს არ გააკეთა.

შესაბამისად, ვარაუდი, რომ კვიციანი აუცილებლად დეტალებში მოყვება, რა და როგორ იყო, ნაჩქარევია. რეალურად, მას მოსაყოლი ბევრი აქვს, მაგრამ რამდენად დათანხმდება თანამშრომლობას, ძნელი სათქმელია. ერთი ეგაა, კვიციანის პატიმრობაში დატოვებას აზრი არ აქვს, რადგან გაქცევის სურვილი რომ ჰქონდეს, არც საქართველოში ჩამოვიდოდა, თუმცა მოსამართლემ დაკავებულის ადვოკატის პირველი შუამდგომლობა უარყო და აღმკვეთი ღონისძიების ფორმის შეცვლაზე უარი განაცხადა.

სხვათა შორის, კვიციანს არამარტო იმაზე აქვს ინფორმაცია, ვინ რას აფუჭებდა კოდორში შევარდნაძის დროიდან მოყოლებული 2006 წლამდე, არამედ, იმაზეც, თუ ვინ გადადიოდა და გადმოდიოდა აფხაზეთში და ვინძლო, ეს ინფორმაცია უფრო საყურადღებო და სასარგებლო იყოს, ვიდრე ის, თუ რამდენი ტყვიაწამალი დახარჯეს ჩვენმა ჯარებმა 2006 წელს ჩვენივე ხეობის ასაღებად და მერე აფხაზებისთვის გადასაცემად.

ილია II: „მარხვის დროს ხშირია განსაცდელი, მაგრამ ამ განსაცდელის არ შეგეშინდეთ!“

კათოლიკოს-პატრიარქის თქმით, დიდი მარხვის დროს ხშირია განსაცდელი, თუმცა ამ განსაცდელის ადამიანს არ უნდა შეეშინდეს, რადგან განსაცდელს ყოველთვის მოსდევს სიხარული.

„ღვთის მადლით, მოგვიახლოვდა მარხვა სინანულისა, უნდა გვახსოვდეს, რომ მარხვის დროს ხშირია განსაცდელი, მაგრამ ამ განსაცდელის არ შეგეშინდეთ, რადგან ღმერთი მოწყალეა და დაგეხმარებათ ამ განსაცდელის დროს, ღმერთმა გაგვითენოს ბედნიერი აღდგომის დღესასწაული. უნდა გვახსოვდეს, რომ აღდგომას უძღვის განსაცდელი და განსაცდელს მოსდევს სიხარული. სიხარული მოგანიჭოთ უფალმა“, — ბრძანა უწმინდესმა საკვირაო ქადაგებისას.

„პია.გე“

თბილისის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა 7 მარტს გაიმართება

სხდომაზე თბილისის ბიუჯეტზე იმსჯელებენ. თბილისის მთავრობამ საკრებულოს ბიუჯეტი უკვე მეოთხედ, 2 დღის წინ წარუდგინა, რომლის განხილვაც 7 მარტს რიგგარეშე სხდომაზე მოხდება.

საკრებულოს თავმჯდომარის, ირაკლი შიხიაშვილის თქმით, ისინი გაეცნობიან ახალ ბიუჯეტს, ნაციონალური მოძრაობის წევრებს კი მოუწოდა, „გონს მოეგონ, გამოფხიზლდნენ და მონებივით არ მოიქცნენ”.

ცნობისთვის, იმ შემთხვევაში, თუ საკრებულო თბილისის ბიუჯეტს 11 მარტამდე არ მიიღებს, თბილისის მთავრობა და საკრებულო დაიშლება და დედაქალაქში ცენტრალური მმართველობა იქნება.

„პია.გე“

რა კომპრომატებით აშანტაჟებენ ნაციონალები და რა ფარული კავშირი აქვს ზაზა ხატიაშვილს პუტინთან

ᲔᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲨᲔᲚᲘᲐ
557-100-768

ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელ ზაზა ხატიაშვილს ნაციონალურ მოძრაობასთან გარიგებაში ადანაშაულებს. მეტიც, ამბობს, რომ ზაზა ხატიაშვილმა მძიმე დანაშაულებში ეჭვმიტანილი ყოფილი მაღალჩინოსნები ასოციაციაში შეიფარა. რა კომპრომატები არსებობს ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელის წინააღმდეგ და რატომ იცავს ზაზა ხატიაშვილი გიორგი ონიანის, ვანო მერაბიშვილის, რომეო საჯაიასა და ნაციონალური მოძრაობის სხვა მაღალჩინოსნების ინტერესებს?

— „ვერსია“ უფლებდამცველთა გაერთიანების თავმჯდომარეს, ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲛᲭᲐᲕᲐᲜᲐᲫᲔᲡ ესაუბრა.

ნიკოლოზ მჭავანაძე ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელს სასამართლოში უჩივის



— საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრები შეშფოთებულნი ვართ, რადგან ბოლო დროს, ეს სტრუქტურა ნაციონალური მოძრაობის რუპორად და დასაყრდენად იქცა. გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, ვივარაუდოთ, რომ ზაზა ხატიაშვილის ქმედებებს, განსაკუთრებით გიორგი ონიანის მიმართ, ნაციონალური მოძრაობა წარმართავს. გიორგი ონიანისთვის ჯერ არც ბრალი ჰქონდათ წაყენებული და არც დაკითხვაზე იყო შეყვანილი, როცა ზაზა ხატიაშვილმა ქალაქის პროკურატურასთან განაცხადა, ადვოკატების ინსტიტუციონალური დევნა მიდის, ონიანი რეჟიმის მსხვერპლი და უდანაშაულოაო. როცა ეს განცხადება გაკეთდა, ჯერ გარკვეული არაფერი იყო და იქნებ ადამიანმა დანაშაული მართლა ჩაიდინა, ან კაცი გაიტანა, ან რამე დააშავა? წინასწარ ამგვარი განცხადების გაკეთება, რბილად რომ ვთქვათ, არაკომპეტენტურობა და უპასუხისმგებლობაა!

— ბატონო ნიკოლოზ, ნუ გავიწყდებათ, რომ ზაზა ხატიაშვილი ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელია და დაკავებული ადვოკატის დაცვაც ევალება. რატომ ფიქრობთ, რომ გიორგი ონიანს ისე არ იცავს, როგორც მხოლოდ ადვოკატს?

— ძალიან დიდი სირცხვილია, ონიანიც უფლებადამცველად იწოდებოდეს და გელა ნიკოლეიშვილი, ლალი აფციაური, ლია მუხაშავრია ან ირაკლი კაკაბაძეც! ადვოკატთა ასოციაციაში აღიარებული ზონდერების ადგილი არ არის. ზაზა ხატიაშვილისგან დიდი ხანია, ვითხოვთ, გარკვეული რეგულაციები დადგინდეს, რათა მძიმე დანაშაულში ეჭვმიტანილებს ასოციაციაში გაწევრიანება მარტივად არ შეეძლოთ, მაგრამ ხატიაშვილმა ჩვენი თხოვნა, ბუნებრივია, არ გაითვალისწინა, პირიქით ასოციაციაში მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებში ეჭვმიტანილი ყოფილი მაღალჩინოსნები, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, გაწევრიანდნენ და ამ დროს, ზაზა ხატიაშვილი დანარჩენი ოთხი ათასი ადვოკატის სახელით საუბრობს. ვთქვათ, გიორგი ონიანს ადვოკატის სტატუსი აქვს, რატომ იცავს ხატიაშვილი თავგამოდებით ნაციონალური მოძრაობის გენერალურ მდივან ვანო მერაბიშვილს, ისიც ხომ ადვოკატი არ არის? მოგეხსენებათ, ხატიაშვილმა განაცხადა, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ვანო მერაბიშვილის უფლებებს არღვევენ, ციხიდან გაიტაცესო... ბუნებრივია, ადვოკატმა ნებისმიერი დამნაშავის უფლებები უნდა დაიცვას, მათ შორის სააკაშვილისაც, მაგრამ ვინ წარუდგინა ხატიაშვილს მტკიცებულება, რომ ვანო მერაბიშვილი ციხიდან გაიტაცეს?! აპრიორი მტკიცება, რომ ვანო მერაბიშვილი ან გიორგი ონიანი ხელისუფლებისგან იდევნება, დაუშვებელია! წლების განმავლობაში, სწორედ ამ ადამიანების წინააღმდეგ ვიბრძოდით, სწორედ ისინი ლახავდნენ უდანაშაულო მოქალაქეების უფლებებს, ზაზა ხატიაშვილმა კი რომეო საჯაიაზეც „იზრუნა“, არადა რეჟიმი სწორედ ამ ადამიანებზე იდგა. როგორც ჩანს, იმ 28 ათასი ფაილიდან, რომელიც ნაციონალურმა მოძრაობამ ცხრა წლის განმავლობაში უკანონოდ გადაიღო, ერთ-ერთი ზაზა ხატიაშვილზეც არსებობს და ეს ადამიანი ყურებით ჰყავთ დაჭერილი. სხვაგვარად შეუძლებელია, რამდენიმე წლის წინ, ადამიანზე მკვლელი და დამნაშავე იძახო და დღეს თქვა, გმირიაო. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: თუკი ვინმეს უფლებები ირღვევა, მისი წარსულის მიუხედავად, უნდა დაიცვა, მაგრამ როცა ჯერ საკითხი გარკვეული არ არის და ყველაფერს სხვაგვარ კვალიფიკაციას აძლევ, გაუგებარია, ამას რატომ აკეთებ.

— ფიქრობთ, ნაციონალური მოძრაობა ზაზა ხატიაშვილს კომპრომატებით აშანტაჟებს?

— ამას მტკიცებით ფორმაში ვერ ვიტყვი, მაგრამ ხატიაშვილის ქმედებები სწორედ ამაზე მეტყველებს. მან რაც უნდა ამტკიცოს, ნაციონალების მხარდამჭერი არ ვარო, ფაქტია, დღეს რეჟიმის წევრებს გმირებს ეძახის და საკუთარ მეგობრებადაც მიიჩნევს. ადამიანი პუტინს რომ ფინანსური დახმარების წერილს გაუგზავნის, რაღაზე უნდა ილაპარაკო?!

— ამის მტკიცებულება გაქვთ?

— არ ვარ ის ადამიანი, რომელიც საუბრისას ფარულ ჩანაწერებს აკეთებს, მაგრამ ეს ფაქტია. შემიძლია, ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანები — სამი შვილი დავიფიცო, რომ ასე მოხდა. მე მთხოვს ამის დამადასტურებელი მტკიცებულების წარდგენას, რაც სასაცილოა. პუტინი მე წერილს არ გამომიგზავნის. ის კი, შეგნებულად ცრუობს, არადა კაბინეტში ხატები აქვს გამოფენილი, თავი დიდ ქრისტიანად მოაქვს და ამხელა ტყუილს კადრულობს. ხატიაშვილმა ასოციაცია მძიმე დანაშაულებში ეჭვმიტანილი ადამიანების თავშესაფრად აქცია, ადვოკატთა ასოციაციაში ვითარებას ერთპიროვნულად განაგებს და დანარჩენი ადვოკატების აზრი თუ პოზიცია საერთოდ არ აინტერესებს. იმდენი კულტურაც არ აქვს, პირდაპირ ეთერში ოპონენტებს ზრდილობის ფარგლებში ესაუბროს. უფლებადამცველები ასოციაციაში შექმნილ ვითარებასთან შეგუებას არ ვაპირებთ. ზაზა ხატიაშვილი, თავის ქმედებების გამო, ძალიან ცუდად დაამთავრებს. ჩვენ ვიწყებთ კამპანიას, რომ ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელის ასარჩევად არჩევნები დაინიშნოს. ადვოკატთა ასოციაცია უნდა იყოს აპოლიტიკური და დამოუკიდებელი სტრუქტურა, როგორც ნაციონალების, ასევე „ქართული ოცნებისგან“.

— ზაზა ხატიაშვილის ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელად დანიშვნასთან დაკავშირებით, თავის დროზე, გარკვეული ეჭვებიც გაჩნდა. სულ რამდენი ადვოკატი ითხოვს ხატიაშვილის თანამდებობიდან გადაყენებას?

— დიახ, ზაზა ხატიაშვილის ლეგიტიმაციის ხარისხი ძალიან დაბალია. ბოლო არჩევნებში, 4000-დან მხარი მხოლოდ 950-მდე ადვოკატმა დაუჭირა ანუ მისთვის ხმა ადვოკატთა ასოციაციის წევრთა ნახევარსაც არ მიუცია. ადვოკატების უმრავლესობა ფიქრობს, რომ ახალი არჩევნები სასწრაფოდ უნდა დაინიშნოს. მან ყრილობაზე მოატყუა საზოგადოება, როცა განაცხადა, სააკაშვილის რეჟიმის დაჭერილი 140 ადვოკატი ციხიდან მე გამოვუშვიო. ეს სამარცხვინოა! დღეს ხელისუფლებაში კვლავ სააკაშვილი რომ იყოს, 140 კი არა, 1140 პატიმარი ადვოკატი იქნებოდა, აქედან გამომდინარე ასოციაციის წევრმა ადვოკატებმა გადაწყვეტილება თავად უნდა მიიღონ. ვითარების შესაცვლელად შესაბამის პროცედურებს ძალიან მალე დავიწყებთ, რადგან ადვოკატთა ასოციაცია სამართლიანობის აღდგენის პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანოა. სამწუხაროდ, დღეს ეს სტრუქტურა უსამართლობის სიმბოლოდ იქცა. ვისაც ყოფილი ზონდერების გვერდით მუშაობა სურს, კი ბატონო, იმუშაოს, ვინც წინააღმდეგია, ჩვენ ინიციატივას შემოუერთდეს.

— ის ფინანსებიც, რომელსაც ადვოკატთა ასოციაცია საწევროებიდან და გრანტებიდან იღებს, გარკვეულწილად, გასაიდუმლოებულია, არა?

— დიახ, ის თანხები, რომელიც ადვოკატებისგან ასოციაციაში შედის, არასოდეს გასაჯაროებულა, ამიტომ ხატიაშვილს პასუხისგება ამ შემთხვევაშიც მოუწევს. ზაზა ხატიაშვილს ძალიან მალე თავის ადგილს მივუჩენთ, რადგან ადვოკატები, პრაქტიკულად, გაყიდა. ამბობს, რომ მის წინააღმდეგ შავი პიარი მიდის. ბატონო ზაზა, ყოველი გამოსვლით საკუთარ თავს შავ პიარს თავად უკეთებთ, მაგრამ ერთს გპირდებით: ძალიან მალე ერთ ადვოკატსაც კი, განსხვავებული პოზიციის გამო, შეურაცხყოფას ვეღარ მიაყენებთ!

ზაზა ხატიაშვილის დევიზია, ვინც ჩემს პოზიციას არ იზიარებს, ის მოსაკვეთია, მტერია, საცოდავია, მართულიაო. თქვენ ეთიკის ელემენტარულ ნორმებთანაც არ ხართ ახლოს, ჩვენ გვიწოდებთ ხელისუფლებისგან მართულებს და ამაზე პასუხს აგებთ. თქვენ წინააღმდეგ სარჩელი შევა ამ კვირას თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში პატივისა და ღირსების შელახვისთვის — თქვენგან ბოდიშის მოხდას ვითხოვთ. ასევე შევიტანთ განაცხადს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კოლეგიაში, იქნებ იქ მაინც დაგაშოშმინონ. ხშირად იმეორებთ, სადაა იმპიჩმენტისთვის განსაზღვრული 400 ხმაო, მალე იქნება, ბატონო ზაზა, მალე! გვაცალეთ და ყველაფერს მიიღებთ. ისე, რომ გგონიათ, გვერდით ერთგული ხალხი მიდგასო, საქმე მთლად მასეც არაა და ამაში მალე დარწმუნდებით. ადამიანს, განსხვავებული შეხედულების გამო შეურაცხყოფას არასოდეს ვაყენებ და ეს ელემენტარული აქსიომა თქვენც გაითავისეთ!

ᲕᲔᲠᲡᲘᲐᲜᲘᲣᲡᲘ

შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ამოიღო

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1975 წელს დაბადებული, საქართველოსა და თურქეთის ორმაგი მოქალაქე რიზა გ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ბრალდებით სოფელ მარტყოფთან დააკავეს. სამართალდამცველებმა დაკავებულის კუთვნილი ავტომანქანის ჩხრეკისას ნარკოტიკული საშუალებები ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებულია 4,4016 გრ კანაფის ფისი და 46 აბი „ექსტაზი“, რომელიც 0,0054 გრ ამფეტამინს შეიცავს. ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით). ამასთან, შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ლაგოდეხის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1975 წელს დაბადებული თეიმურაზ ბ. ნარკოდანაშაულის ბრალდებით ლაგოდეხის რაიონის სოფელ ნინიგორში დააკავეს, რომლის პირადი ჩხრეკისას 0,3088 გრ ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა აღნიშნული ნარკოტიკი თურქეთის რესპუბლიკაში შეიძინა და საქართველოში უკანონოდ შემოიტანა. ნარკოლოგიური შემოწმებით დადგინდა, რომ თეიმურაზ ბ. დაკავებისას ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

„ვერსიანიუსი“

ირაკლი ალასანია პარიზში ეროვნული ასამბლეის კონფერენციას დაესწრო

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ მონაწილეობა მიიღო პარიზში ეროვნულ ასამბლეაში გამართულ კონფერენციაში — საქართველო, ევროპული უსაფრთხოების აქტორი. შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთში, ეკატერინე სირაძე-დელონე.

შეხვედრა გახსნა ევროპის პროგნოზირებისა და უსაფრთხოების ინსტიტუტის დირექტორმა, ემანუელ დიუპუიმ. შესავალ სიტყვაში თავდაცვის მინისტრი საქართველოს წინაშე არსებულ გამოწვევებს შეეხო, ხაზი გაუსვა საქართველოს როლსა და შესაძლებლობებს, ნატო-სა და ევროკავშირთან თანამშრომლობის აუცილებლობასა და პერსპექტივებს. თავდაცვის მინისტრმა ცენტრალურ აფრიკაში სამშვიდობო მისიაში საქართველოს მონაწილეობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„ეს არის გარკვეულწილად მორალური მოვალეობა ჩვენთვის, რადგან საქართველომ 90-იანი წლების დასაწყისში გამოიარა სამოქალაქო კონფლიქტი, ეთნიკური წმენდა. მაშინ ევროპის არც ერთი სახელმწიფო არ ჩარეულა ამ კონფლიქტში. დღეს, როცა შეგვიძლია და სადაც შეგვიძლია, მზად ვართ, მივიღოთ მონაწილეობა სამშვიდობო მისიებში, რათა შევაჩეროთ კონფლიქტი და ავიცილოთ გენოციდი“, — განაცხადა ალასანიამ.

ამასთან, მინისტრმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს საქართველოს ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაციას.

„ფორ.გე“

მამუკა ხაზარაძე „გუდვილისა“ და „ელიტ ელექტრონიქსის“ დამფუძნებლებს თაღლითობასა და ფინანსურ მაქინაციებში ამხელს

თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მამუკა ხაზარაძე სიცრუისა და ცილისწამების წინააღმდეგ კამპანიას იწყებს. პარასკევს, 28 თებერვალს, გამართულ პრესკონფერენციაზე, ბიზნესმენმა იმ ბრალდებებზე ისაუბრა, რამაც კამპანიის სახე მიიღო და რაც არაარგუმენტირებულ, დაუსაბუთებელ ბრალდებებში გადაიზარდა. თიბისი ბანკმა სამი სარჩელი უკვე შეიტანა მთავარ პროკურატურაში „გუდვილის“, „ელიტ ელექტრონიქსისა“ და გაზეთ „ასავალ დასავალის“ წინააღმდეგ. „მე და ჩემი პარტნიორები ვაკეთებთ საერთაშორისო ბიზნესს. ყველა ბიზნესი, რომელიც თიბისი ჯგუფშია, საერთაშორისო ნიშნითაა შექმნილი. თითქმის არ არსებობს კომპანია, სადაც ჩვენ უცხოელი, რეპუტაციული ინვესტორი არ გვყავს, ამიტომ ჩვენ ვერავის ვერაფერს ვაპატიებთ! ეს არის სერიოზული თემა, რომელიც მთლიანად ქართული ბიზნესის რეპუტაციას ეხება. ჩვენ ერთ-ერთი წარმატებული ხმა ვართ ქართულ ბიზნესში და არავის მივცემთ უფლებას, ჩვენმა პარტნიორებმა ირიბად მაინც დასვან კითხვა, რა არის ეს, ან რატომ გაყენებენ შეურაცხყოფას? კატეგორიული წინააღმდეგი ვარ იმ ტონისა, რასაც ჩემს წინააღმდეგ იყენებენ, რადგან ეს სცილდება ბიზნესსა და ჩემს ღირსებას ეხება. მინდა, ყველას მივმართო — ამ ტონით ნუ დაგველაპარაკებიან! ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ სამართლებრივ, ცივილურ, კანონიერ სივრცეში ჩვენი შეურაცხყოფისთვის, ასევე ცილისმწამებლური და გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელების გამო, ყველას პასუხს მოვთხოვთ!“, — აცხადებს მამუკა ხაზარაძე.

„კატეგორიულად მოვითხოვთ, დაასახელონ კონკრეტული ფაქტები, თიბისი ბანკის რომელ ოთახში დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც ჩვენმა მენეჯმენტმა ხელები გადაუგრიხა ბიზნესმენს და წილები დაათმობინა“

თიბისი ბანკის ურთიერთობა „გუდვილთან“

2003 წელს, „გუდვილის“ დამფუძნებელთან შეხვედრის შემდეგ, თიბისი ბანკმა კომპანიისა დაფინანსება გადაწყვიტა და 2003-დან 2013 წლამდე, ჯამში, 80 000 000 ლარი გადაურიცხა. 2013 წელს გაირკვა, რომ „გუდვილს“ სერიოზული პრობლემები ჰქონდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, თიბისი ბანკმა „გუდვილთან“ მიმართებაში სამი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მაინც მიიღო: გაუზარდა საბრუნავი სახსრები, რომ კომპანია არ გაჩერებულიყო; გაუჩერა პროცენტის გადახდა და მთლიანი თანხის 80% ქონებაში გადაიტანა, რათა დავალიანება შემცირებულიყო, თუმცა იმ პირობით, რომ „გუდვილის“ დამფუძნებლებს, ნებისმიერ დროს შეეძლოთ, კომპანია დაებრუნებინათ.

„2013 წელს, როდესაც შევამჩნიეთ, „გუდვილს“ სერიოზული კრიზისი ჰქონდა, ჩემთან კომპანიის დამფუძნებელი მოვიდა, რომელმაც აღიარა, რომ ორი წლის განმავლობაში თიბისი ბანკს გაყალბებულ დოკუმენტაციას აწვდიდნენ. ბუნებრივია, შევშფოთდით, ორი წელი სისტემური დანაშაული ხდებოდა. კომპანიის წლიური გაყიდვები 130 000 000 ლარი იყო და წარმოიდგინეთ, საბუთების გასაყალბებლად, მენეჯმენტს რა ტიპის სამუშაოები უნდა ჩაეტარებინა. ჩვენი დავალიანების გარდა, „გუდვილს“ 100-მდე მიმწოდებელი კომპანიის მიმართ 30 000 000 ლარის ვალიც დაუგროვდა. დიდი ძალისხმევა დამჭირდა, ჩვენი ბანკის მენეჯმენტი დამერწმუნებინა, რომ „გუდვილი“ გადაგვერჩინა. კარგად გვესმის, ამ კომპანიის უკან უამრავი ადამიანი დგას და არ შეიძლება, ბრენდი, რომელიც დიდი ხანია არსებობს, რამდენიმე ადამიანისგან შემდგარი მენეჯმენტის სიყალბეს გადაეყოლო“, — განმარტავს მამუკა ხაზარაძე.

2013 წლის გაზაფხულზე, თიბისი ბანკის მენეჯმენტმა „გუდვილში“ რამდენიმე ფინანსური მრჩეველი მიავლინა, რომლებმაც დავალიანება შეაჩერეს და კომპანიის რეაბილიტაციის პროცესი დაიწყეს. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის დახმარება გადაწყვიტა, თიბისი ბანკმა „გუდვილის“ წინააღმდეგ სარჩელი მთავარ პროკურატურაში იმის გამო შეიტანა, რომ კომპანია ორი წლის განმავლობაში ფინანსურ დოკუმენტაციას აყალბებდა. მამუკა ხაზარაძის თქმით, „გუდვილის“ დამფუძნებელმა კომპანიის კრიზისიდან გამოყვანა ფინანსური თაღლითობით სცადა და მთავარ პროკურატურას მიმართავს, რომ თიბისი ბანკის სარჩელთან დაკავშირებით საგამოძიებო პროცედურები დააჩქარონ.

ბოლო დროს, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური სხვადასხვა კომპანიას ანალოგიური ფინანსური დარღვევების გამო ამოწმებს. საინტერესოა, რა მექანიზმით გააყალბა „გუდვილმა“ ფინანსური დოკუმენტაცია ან ეს ფაქტი თიბისის მენეჯმენტს როგორ გამოეპარა, ხოლო მას შემდეგ, რაც სიმართლე შეიტყო, კომპანიის დახმარების სურვილი რატომღა გაუჩნდა? — ამაზე მამუკა ხაზარაძე აცხადებს:

„შეცდომა ზედმეტმა ნდობამ და „გუდვილის“ წარმატებამ დაგვაშვებინა — ფინანსური დოკუმენტაციის გადამოწმებისას, ზედმეტად მკაცრები არ ვიყავით. ვაღიარებთ ჩვენს უყურადღებობას, რადგან „გუდვილის“ საერთაშორისო აუდიტორული შემოწმება არ მოვითხოვეთ, რაც ნებისმიერ, ქართულ კომპანიას მძიმე ტვირთად აწვება. როდესაც კომპანია წარმატებით მუშაობდა, ჩავთვალეთ, რომ ზედმეტი ხარჯის გაღება უადგილო იქნებოდა, ამიტომაც ვენდეთ იმ აუდიტორული კომპანიის დასკვნას, რომელსაც „გუდვილი“ გვაწვდიდა. ბუნებრივია, ამ საკითხს მომავალშიც გადავხედავთ და, ამიერიდან, ყველა მსხვილ კომპანიას მოვთხოვთ, ფინანსური მენეჯმენტის კულტურა აამაღლოს. მომავალში, ამ მხრივ მკაცრები ვიქნებით, რათა დავაზღვიოთ კომპანია და არა — დამფუძნებელი, რადგან როდესაც კომპანია კრიზისში შედის, ბევრი დამფუძნებელი სათავისოდ იღებს გადაწყვეტილებას და ინსტიტუციონალურად, თავის მიერ აშენებულ კომპანიას საფრთხის ქვეშ აყენებს. ანალოგიური ვითარებაა „გუდვილში“, სადაც დამფუძნებელმა უამრავი ადამიანი დააყენა სამუშაო ადგილის დაკარგვის საფრთხის ქვეშ დააყენა.

რაც შეეხება თქვენი შეკითხვის მეორე ნაწილს, „გუდვილს“ იმიტომ დავეხმარეთ, რომ ქართული ბრენდის გადარჩენა გვინდოდა. დღესაც პატივს ვცემთ ამ ბრენდს და იმ ხალხს, რომელიც „გუდვილში“ მუშაობს და მომხმარებელსაც, რომელიც ამ კომპანიის მომსახურებით სარგებლობს. ამიტომაც გვინდა, გადავარჩინოთ კომპანია და არა თაღლითი დამფუძნებელი“.

თიბისი ბანკი და „ელიტ ელექტრონიქსი“

თიბისი ბანკმა მთავარ პროკურატურაში მეორე სარჩელიც შეიტანა, რომელიც „ელიტ ელექტრონიქსს“ ეხება. მამუკა ხაზარაძის განცხადებით, 2005 წელს, თიბისი ბანკმა, „ელიტ ელექტრონიქსის“ დაფინანსება დაიწყო, 2009 წელს კი კომპანიის დაფინანსება ოთხმა წამყვანმა ქართულმა ბანკმა გააგრძელა:

„ამას ხაზგასმით იმიტომ ვამბობ, რომ „ელიტ ელექტრონიქსის“ დამფუძნებლის, ანზორ ქოქოლაძის არც ერთ განცხადებასა თუ სტატიაში, სხვა ბანკი ნახსენებიც არ არის — მხოლოდ თიბისი ბანკს ლანძღავს. საინტერესო პრეცედენტია, როდესაც ოთხი ბანკი გაფინანსებს და მხოლოდ ერთს ედავები, არადა, ეს კომპანია სრულიად პარიტეტული სისტემით დავაფინანსეთ. 2009 წელს, თიბისი ბანკმა „ელიტ ელექტრონიქსის“ სესხის რესტრუქტურიზაცია განახორციელა. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური კრიზისის დროს ჩვენც გაგვიჭირდა, კომპანიების გადარჩენა მაინც გადავწყვიტეთ. დავიწყეთ რეაბილიტაციის რეჟიმი და „ელიტ ელექტრონიქსს“ არსებულ მენეჯმენტი შევუნარჩუნეთ. ანზორ ქოქოლაძეს მხოლოდ ერთხელ შევხვდი და ის, რომ თითქოს ბიზნესის დათმობის სანაცვლოდ, გარკვეული თანხა შევთავაზეთ, მტკნარი სიცრუეა. 2010 წელს ქოქოლაძემ დირექტორის პოსტი დატოვა, რასაც ჩვენი შეხვედრა უსწრებდა“.

მამუკა ხაზარაძის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ „ელიტ ელექტრონიქსის“ შემთხვევაშიც, თიბისი ბანკის მენეჯმენტი დახმარების წინააღმდეგი იყო, მისი დაჟინებული მოთხოვნით, კომპანიის რესტრუქტურიზაცია დაიწყო. მამუკა ხაზარაძე მზად იყო, აქციები, რომლებიც თიბისი ბანკის მფლობელობაში დროებით გადავიდა, კომპანიისთვის ნებისმიერ დროს დაებრუნებინა, ოღონდ ერთი პირობით, თუ ანზორ ქოქოლაძე „ელიტ ელექტრონიქსის“ დირექტორის პოსტს დატოვებდა.

„სამწუხაროდ, ეჭვი გვეპარებოდა, რომ ქოქოლაძის ხელმოწერის საშუალებით, „ელიტ ელექტრონიქსი“ არასწორად იმართებოდა. 2009 წელს, კომპანიას სახელმწიფოს სასარგებლოდ 7 500 000 ლარის გადახდა დაეკისრა. ჩვენს მიმართ გამოთქმული ერთ-ერთ ბრალდებით, თითქოს ეს სპეციალური დავალიანება იყო, რათა „ელიტ ელექტრონიქსი“ კრიზისში შესულიყო და თიბისი ბანკს ხელში ჩაეგდო. როდესაც კომპანიას, ჯამში, 49 000 000 ლარის დავალიანება აქვს, მისი აქტივი კი 12 000 000 ლარია, არ მეგულება ნორმალურად მოაზროვნე ბიზნესმენი, რომელსაც ასეთი კომპანიის დაუფლების სურვილი გაუჩნდება. თიბისი ბანკს, არსებობის 22 წლის განმავლობაში, წილი ერთ სხვა კომპანიაშიც არ ჰქონია, რადგან არასაბანკო აქტივების ფლობა ჩვენი სტრატეგია არ არის. კომპანია, რომელიც არაპროფილურია, მით უმეტეს, მაცივრებისა და ქურების რეალიზაციას ახდენს, არ გვაინტერესებს“, — განმარტავს მამუკა ხაზარაძე.

2009 წელს, ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო სამსახურმა, „ელიტ ელექტრონიქსს“, სახელმწიფოს სასარგებლოდ, 7 500 000 ლარის გადახდა დააკისრა. ამ ვალს ანზორ ქოქოლაძე არ აღიარებს, მაგრამ მამუკა ხაზარაძე აღნიშნავს, რომ 2014 წელს, ახალი ხელისუფლების პირობებში, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა „ელიტ ელექტრონიქსის“ განვლილი პერიოდი შეამოწმა და დამატებითი გარემოებები აღმოაჩინა. შემოწმების შედეგად, „ელიტ ელექტრონიქსს“ დამატებით 6 000 000 ლარის გადახდა სწორედ იმ დარღვევების გამო დაეკისრა, რასაც ამ კომპანიაში ადგილი 2007 წელს ჰქონდა.

„საინტერესოა, როდის იტყუება ანზორ ქოქოლაძე: როცა ამბობს, რომ წინა ხელისუფლების პირობებში, მის მიმართ პოლიტიკური ზეწოლა განხორციელდა, თუ ახლა, როცა ახალი ხელისუფლების პირობებში, ფინანსთა სამინისტროს შესაბამისმა უწყებამ „ელიტ ელექტრონიქსს“ დამატებით 6 000 000 ლარის გადახდა დააკისრა?“, — კითხულობს მამუკა ხაზარაძე.

მისივე თქმით, 2009-2010 წლებში, ანზორ ქოქოლაძემ „ელიტ ელექტრონიქსის“ თანხა მიითვისა და პარალელური ბიზნესის დასაწყებად მოემზადა. ქოქოლაძემ, თიბისი ბანკში დასაბრუნებელი 7 000 000 ლარი, მისი დის, ეთერ ქოქოლაძის 1 000-ლარიან კომპანიაში გადარიცხა. ხაზარაძის განცხადებით, გაკოტრების რეჟიმში მყოფმა „ელიტ ელექტრონიქსის“ დამფუძნებელმა, ზუსტად იგივე პროფილის ბიზნესი წამოიწყო და ახალი კომპანია „ტექნო ბუმი“ დააფუძნა. ხაზარაძის ინფორმაციით, „ტექნო ბუმში“ იმ ნომრიანი საქონლის რეალიზება ხდებოდა, რაც სინამდვილეში, „ელიტ ელექტრონიქსს“ ეკუთვნოდა. ხაზარაძე ამბობს, რომ „ელიტ ელექტრონიქსის“ შემთხვევაშიც, „გუდვილის“ მსგავსად, ადგილი აქვს ფინანსურ მაქინაციასა და თაღლითობას, ოღონდ განსხვავება ისაა, „ელიტ ელექტრონიქსის“ გადასარჩენად თიბისი ბანკმა გამოსავალი მოძებნა და ისრაელიდან სერიოზული ებრაული კომპანია „ბრიმაგი“ მოიწვია, რომელსაც მილიარდ აშშ დოლარიანი წლიური ბრუნვა აქვს. რაც შეეხება „გუდვილს“, მართალია, მამუკა ხაზარაძემ რამდენიმე კომპანია გამოძებნა, მათ შორის, პორტუგალიიდან, ისრაელიდან, უკრაინიდან და ერთი — საქართველოდან, მაგრამ კომპანიის დამფუძნებელი ამის კატეგორიული წინააღმდეგია. საბოლოოდ, „გუდვილისა“ და „ელიტ ელექტრონიქსის“ დამფუძნებლების ფინანსური მაქინაციების გამო, თიბისი ბანკმა 39 000 000 ლარის ზარალი განიცადა.

„გუდვილისა“ და „ელიტ ელექტრონიქსის“ გარდა, პრეტენზიები სხვა კომპანიების დამფუძნებლებსაც აქვთ და მათი ნაამბობიდან იქმნება შთაბეჭდილება, რომ თიბისი ბანკში ნაციონალური მოძრაობის მაღალჩინოსნებს მათთვის არასასურველი ბიზნესმენები მიჰყავდათ, ხელებს უგრეხდნენ, აშანტაჟებდნენ და საკუთარი კომპანიის წილებს ათმობინებდნენ. მამუკა ხაზარაძე ამ ბრალდებებზე აცხადებს:

„ყველა ეს ბრალდება აბსურდულია. თუ მართლა გჯერათ, რომ ჩვენი მენეჯმენტი ასეთი საქმეებით იყო დაკავებული, დღესვე მზად ვარ, დავტოვო არა მარტო თიბისი ბანკი, არამედ — საერთოდ წავიდე ბიზნესიდან! ესაა ფაშისტური რეჟიმის, გებელსის ტიპის შეთხზული ბრალდებები, რადგან ჯურღმულები სხვაგანაა და არა — ჩვენს ბანკში. ჩვენს წინააღმდეგ ამ ტიპის ბრალდებები იმიტომ გაისმის, რომ ამა თუ იმ წარუმატებელმა ბიზნესმენმა საკუთარი შეცდომები და მაქინაციები თიბისი ბანკს გადააბრალოს. იურიდიულ და სამართლებრივ ასპექტში გვაინტერესებს და კატეგორიულად მოვითხოვთ, დაასახელონ კონკრეტული ფაქტი, თიბისი ბანკის რომელ ოთახში დაფიქსირდა მსგავსი შემთხვევა, როდესაც ჩვენმა მენეჯმენტმა ხელები გადაუგრიხა ბიზნესმენს და წილები დაათმობინა? გიმეორებთ, ეს არის წმინდა წყლის ცილისწამება. შესაძლოა, პროცედურულად გარკვეული დარღვევა დაფიქსირდა, მაგრამ ამისთვის ნორმალური, კითხვა-პასუხის რეჟიმი არსებობს და არა — ჩვენს წინააღმდეგ შავი ღრუბლების შეკრების მცდელობა, თითქოს ქვეყნის დამაქცევრები ვიყოთ. ეს საკმაოდ სერიოზული ბრალდებაა და ამ ტიპის ჩირქის მოცხებას ვერ შევეგუებით, რადგან რაც არ გაგვიკეთებია, იმაზე პასუხისმგებლობას ვერ ავიღებთ!“

მაია მიშელაძე

თიბისი ბანკი საქართველოში ემიგრანტული ლიტერატურის ჩამოტანას დააფინანსებს

თიბისი ბანკი საქართველოში ემიგრანტული ლიტერატურის მოძიებასა და საქართველოში ჩამოტანას დააფინანსებს. მემორანდუმს ამის შესახებ ხელი საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, მამუკა ხაზარაძემ და ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა, გიორგი კეკელიძემ მოაწერეს.

მემორანდუმზე ხელმოწერის შემდეგ გიორგი კეკელიძემ და მამუკა ხაზარაძემ გახსნეს ექსპოზიცია ქართული ემიგრაციის დარბაზში, სადაც წარმოდგენილი იყო ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული ემიგრანტული ლიტერატურა. კერძოდ, ქართველი ემიგრანტების შთამომავლების მიერ საჩუქრად გადმოცემული არქივები. მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოტანილი ოთარ და გივი ზალდასტანიშვილებისა და გრიგოლ დიასამიძის არქივები, რომლებიც ცნობილი საზოგადო მოღვაწეების წერილებს, მემუარებს, ნაშრომებს, საქართველოში აქამდე უცნობ დოკუმენტებს მოიცავს.

ემიგრაციის დარბაზშია ასევე განლაგებული ლევილის მამულიდან ჩამოტანილი უნიკალური კოლექცია, რომელიც მოიცავს ქართველ ემიგრანტთა ხელნაწერებს, ემიგრანტულ ლიტერატურასა და პერიოდულ გამოცემებს. მათ შორისაა ნოე ჟორდანიას შთამომავლებისა და დავით საღირაშვილის არქივები, ნუცა ჩოლოყაშვილის მიერ გადმოცემული ლიტერატურა და ეროვნული მთავრობის წევრთა პირადი ნივთები.

„მიმაჩნია, რომ ასეთი არქივის შეკრება ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ჩვენი შვილებისა და ჩვენი მომავლისათვის, რადგან უნდა ვიცოდეთ, საიდან მოვდივართ, რა ქარტეხილები გაიარა ქართულმა ემიგრაციამ და დღეს, როდესაც საქართველოს ჯერ კიდევ არ დაუსრულებია ბრძოლა გაერთიანებისათვის, ემიგრანტების ჩანაწერები, მათი სულიერი ტკივილი ორმაგად საგულისხმო და აქტუალურია. ამდენად, ეს არქივი, კარგი საშუალებაა იმისთვის, რომ პარალელები გავავლოთ აწმყოს, წარსულსა და მომავალს შორის, ასე რომ, ამ პროექტს დიდი სიამოვნებით დავუჭერთ მხარს“, — განაცხადა **მამუკა ხაზარაძემ** ჟურნალისტებთან საუბრისას.

გიორგი კეკელიძის თქმით, ეს არის პირველი პრეცედენტი, როდესაც ეროვნული ბიბლიოთეკის პროექტს აფინანსებს კერძო ბიზნესი. მისივე თქმით, თიბისი ბანკის მხარდაჭერით მოხდება უნიკალური მასალის მოძიება და ტრანსპორტირება, რაც ხშირ შემთხვევაში საკმაოდ ძვირი ჯდება, ამიტომ თიბისი ბანკის ფინანსურ მხარდაჭერას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

„ცოტა ხნის წინ ქალბატონების — რუსუდან გორგილაძისა და ლიზი ზალდასტანიშვილის დახმარებით, საქართველოს დაუბრუნდა ქართული ემიგრაციის მნიშვნელოვანი დანატოვარი, კერძოდ დიასამიძეებისა და ზალდასტანიშვილების ოჯახის არქივი. თიბისი ბანკი გააგრძელებს ამ დიდ საქმეს და მისი დახმარებით მოხდება ემიგრანტული არქივების ჩამოტანა და განთავსება ემიგრაციის დარბაზში, რომელიც დროთა განმავლობაში კიდევ უფრო შეივსება. მას დაემატება უნიკალური მასალა: უცხოეთში გამომავალი ქართული პერიოდიკა, წიგნები, ემიგრანტების ჩანაწერები, ფოტო, აუდიო და ვიდეო მასალა. მნიშვნელოვანია, რომ ეს არქივი იქნება ღია და ხელმისაწვდომი ყველა მსურველისათვის, მკვლევარისა და იმ ადამიანებისათვის, ვინ დაინტერესებულია ეროვნული მემკვიდრეობით“, — განაცხადა **გიორგი კეკელიძემ**.

ახალი ემიგრანტული მასალა საქართველოში მაისის ბოლოს ჩამოვა.

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

მოშიმშილე რუსთაველ მძღოლებს დაკითხვაზე იბარებენ

რუსთავში სატრანსპორტო მოძრაობა ნაწილობრივ პარალიზებულია — ქალაქის მერიის წინ რუსთავი-თბილისის სამარშუტო ხაზზე მომუშავე მძღოლების, ე.წ. ხაზების მეპატრონეებისა და მათი ოჯახის წევრების საპროტესტო აქცია გრძელდება. აქციის მონაწილეები რუსთავი-თბილისის სამარშრუტო ხაზზე მერიის მიერ გამოცხადებული კონკურსის 3 წლით გადადებას მოითხოვენ.

პროტესტანტები სახელმწიფო კანცელარიის პიკეტირებით იმუქრებიან

აღნიშნული მოთხოვნით, ერთი კვირაა, რამდენიმე მძღოლი შიმშილობს. მოშიმშილეების განცხადებით, კონკურსის ჩატარების შემთხვევაში, ისინი არაკონკურენტუნარიან პირობებში აღმოჩნდებიან და სამსახურის გარეშე დარჩებიან. აქციის მონაწილეები ხაზს უსვამენ, რომ სამარშრუტო ტაქსები ბანკიდან გამოტანილი კრედიტით აქვთ შეძენილი, კონკურსში სხვა კომპანიის გამარჯვების შემთხვევაში კი კრედიტს ვეღარ დაფარავენ და გირაოში ჩადებულ საცხოვრებელ ბინებს დაკარგავენ.

რუსთავის ვიცე-მერის, **დავით სხირტლაძის** განცხადებით, რუსთავი-თბილისის სამარშრუტო ხაზზე კონკურსი კანონის სრული დაცვით ჩატარდება და მძღოლების უფლებებიც მაქსიმალურად იქნება დაცული: **„ეს მძღოლების კი არა, ე.წ. ხაზების მეპატრონეების პროტესტია... რუსთავის მერიაში რეგისტრაცია 200-მდე მძღოლმა გაიარა. საკონკურსო პირობის თანახმად, ნებისმიერი გადამზიდავი კომპანია ვალდებულია, ის მძღოლები დაასაქმოს, ვინც დღეს მუშაობენ“.**

მოშიმშილეები და აქციის სხვა მონაწილეები იმუქრებიან, რომ, თუ მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, თბილისში, სახელმწიფო კანცელარიასთან გადაინაცვლებენ.

ვასილ სულაშვილი, აქციის მონაწილე: „ჩვენი ტრანსპორტი ყველანაირად აკმაყოფილებს მოთხოვნილებებს — გამართული და კომფორტული „მარშრუტკები“ გვყავს და გაუგებარია, რა არ აკმაყოფილებთ? რატომ უნდა იხეირონ ამ კონკურსით ერთეულმა ადამიანებმა და ათასობით უმუშევარი დარჩეს მაშინ, როცა რუსთავში დაუსაქმებლობა და უპერსპექტივობა ისედაც უმწვავესი პრობლემაა. გავიპასუხონ! მეტს არაფერს ვითხოვთ“.

დავით ბრაჭული, აქციის მონაწილე მძღოლი: „ტენდერის გადავადებას მოვითხოვთ. შარშან ოქტომბერ-ნოემბერში რუსთავის მერიამ მოგვთხოვა, ავტოპარკი გაგვეუმჯობესებინა და ახალი მანქანები შემოგვეყვანა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მუშაობის საშუალება არ გვექნებოდა. მძღოლების 99%-მა სესხი ავიღეთ და ახალი, 2005-2006-წლიანი მანქანები შემოვიყვანეთ. ახლა კი გვეუბნებიან, რომ ტენდერში უნდა მივიღოთ მონაწილეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ახალი კომპანია შემოვა და უმუშევრები დავრჩებით. ჩვენი მოთხოვნაა, ტენდერი 3 წლით მაინც გადაავადონ, რომ სესხი გავისტუმროთ. ბინები გვაქვს ბანკში ჩადებული, ვინ გვაპატიებს სესხის გადაუხდელობას? უსახლკაროდ დაგვტოვებენ. მერია კი შეღავათს არ გვიკეთებს. ამიტომ ვითხოვთ, გამოვიდეს ქალაქის მერი და დაგველაპარაკოს“.

მძღოლები ირწმუნებიან, რომ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს მგზავრობის საფასურის გაზრდას აპირებენ, სიმართლეს არ შეესაბამება.

ლია მეგურიშვილი: „მანქანები გამოგვაცვლევინეს და ყველა აკმაყოფილებს დაწესებულ სტანდარტებს, მაგრამ ახლა ისე „დაგვაბოლეს“ და ტენდერი ისე გამოაცხადეს, რომ ხალხისთვის არაფერი უკითხავთ. ამას წინათ, საპროტესტო აქცია იყო და ხალხი გააჩუმეს, უბრალოდ, კონკურსი გამოცხადდა და უმუშევრობა არავის გემუქრებათო. უკვე შემოყვანილია ყვითელი მანქანები, რომლებზეც ადგილობრივი რუსთაველები არ დაუსაქმებიათ. 2000 ოჯახი შემოსავლის გარეშე რჩება და ამაზე ვინ აიღებს პასუხისმგებლობას? ეს იყო ჩვენი ოცნება, გამოვიდეს ვინმე და ამ მდგომარეობაზე პასუხი გაგვცეს. რატომ არ გამოდის ქალაქის მერი და პირისპირ არ გვესაუბრება? მთელი რუსთავი ჩვენ გვერდით დადგება“.

აქციის მონაწილე მძღოლებისა და ხაზების ხელმძღვანელების უფლებების დამცველი ადვოკატი **რევაზ რიჟამაძე**, kkpress.ge-სთან აქციის მონაწილეთა ქვემო ქართლის სამხარეო მთავარ სამმართველოში დაბარებაზე საუბრობს. ადვოკატის თქმით, აქციის სამი მონაწილე სამმართველოში დაიბარეს, მათგან ერთ-ერთი მოშიშილე იყო და ვერ შეძლო პოლიციაში მისვლა. რიჟამაძის თქმით, აქციის მონაწილეებს სამხარეოს ხელმძღვანელი შეხვდა და გარკვეული „რჩევები“ მისცა:

„რა შუაშია აქ პოლიცია, მან რა პრობლემა უნდა გადაუწყვიტოს ქალაქის მერს ან ჩვენ? მერიაშიც და საკრებულოშიც აბსოლუტური დასაბუთება შევიტანე. არის უდავო გარემოებები, ყოველგვარი ორმაგი და სამმაგი ინტერპრეტაციის გარეშე, კანონმდებლობაში, შავით თეთრზე, წერია, რომ ქალაქის მერს არც კონკურსის გამოცხადების უფლება აქვს და არც საკონკურსო ლოტების დამტკიცების. ეს უნდა გაეკეთებინა ქალაქის საკრებულოს“.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რუსთაველებს მიმართავენ და მძღოლების ოჯახების მიმართ სოლიდარობის გამოცხადებისკენ მოუწოდებენ.

რუსუდან ბარამიძის წარმატების საიდუმლო

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

როგორ შექმნა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი აუდიტორული კომპანია და როგორ დაამკვიდრა „განსხვავებული ბუღალტერია“ მომღერლობაზე მეოცნებე ბიზნესმენმა

რუსუდან ბარამიძე საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული აუდიტორული კომპანიის დამფუძნებელი და ხელმძღვანელია. ბიზნესის დაწყებიდან ორიოდ წელში, ისეთ შედეგს მიაღწია, საერთაშორისო აუდიტორულ კომპანიებს შორის ერთ-ერთმა საუკეთესომ, ურბან ჰაკერ იანგიმ (UHY), რომელსაც ბიზნესი მსოფლიოს 89 ქვეყანაში აქვს, საქართველოდან პარტნიორად სწორედ რუსუდან ბარამიძე აირჩია. UHY ARG Group, UHY Baramidze consulting და UHY audit bussines academy — ბარამიძის კომპანიებში, დაინტერესებულ პირსა თუ კომპანიას, საჭიროებისამებრ, აუდიტორულ მომსახურებასაც სთავაზობენ, ბუღალტრულსაც, იურიდიულსაც და საინჟინროსაც. აქვე ადგენენ ბიზნესგეგმებს და მსურველებს ბუღალტერიისა თუ მენეჯმენტის შესწავლის საშუალებასაც აძლევენ. ახლახან, კომპანიამ ფილიალი ბათუმში გახსნა. მომავალში, არაა გამორიცხული, ბათუმს საქართველოს სხვა დიდი ქალაქებიც მოყვეს. ამ ფონზე გასაკვირი არ არის, ქალბატონი რუსუდანის სამუშაო დღე დილის 9 საათიდან შუაღამემდე რომ გრძელდება. რუტინული შრომა არ მეზარება, მხოლოდ იმაზე მწყდება გული, რომ ოჯახის წევრებისთვის ნაკლები დრო მრჩებაო, — ამბობს რუსუდან ბარამიძე და იმასაც გვიმხელს, რომ ყველაზე ბედნიერი სწორედ ოჯახშია, იქ, სადაც მეუღლე, შვილები, რძალი, შვილიშვილები და 92 წლის დედა ელოდებიან. რატომ თქვა უარი მომღერლობაზე, რატომ გაათავისუფლეს საგადასახადოს მთავარი ბუღალტრის თანამდებობიდან და როგორ დაიწყო ბიზნესი ერთ პატარა ნაქირავებ ოთახში?

რუსუდან ბარამიძე, წარმატების საიდუმლოს „ვერსიას“ ექსკლუზიურად უმხელს.

— ჩოხატაურის რაიონში დავიბადე, მამა ჩაის ფაბრიკის ინჟინერი გახლდათ, დედა დიასახლისი — 4 შვილს გვზრდიდა და, პარალელურად, ჩაის კრეფა იყო თუ ყურძნის ჩაბარება, მონაწილეობდა. მხოლოდ მამის ხელფასით ამხელა ოჯახის რჩენა გაჭირდებოდა. ბებია-ბაბუასთან ერთად ვცხოვრობდით, ძალიან კარგი დრო იყო. სამწუხაროდ, ძმა ძალიან ახალგაზრდა გარდაგვეცვალა, ავტოკატასტროფაში მოყვა და დავრჩით სამი და. ძმას დარჩა 2 გოგონა, ერთი ბიჭი. 5 წლის შემდეგ ძმისშვილიც გარდამეცვალა, სისხლის მოწამვლით. დღეს ჩემი ერთ-ერთი ძმისშვილი ჩემთან მუშაობს, კომპანიას უდგას სათავეში, რაც ძალიან მახარებს. ზოგადად, ეს ბიზნესი, შეიძლება ითქვას, საოჯახოა — შვილებთან, ოჯახის წევრებთან ერთად ავაწყვე.

— თუმცა, ჩოხატაურში სწავლისას, ალბათ, ვერც იფიქრებდით, რომ მომავალში წარმატებული ბიზნესმენი იქნებოდით. სკოლის ასაკში თქვენი მიზანი რა იყო?

— მომღერლობა მინდოდა, ხალხური სიმღერები მიყვარს ძალიან, მაგრამ მამამ კატეგორიულად ამიკრძალა. ჩემ უფროს დას თეატრალური ინსტიტუტი აქვს დამთავრებული და მამას არ უნდოდა, მეც ამ სფეროთი ვყოფილიყავი გატაცებული. ალბათ ფიქრობდა, რომ სათანადო შემოსავალი არ გვექნებოდა. მოკლედ, მამამ წინააღმდეგობა გამიწია და ვფიქრობ, კარგია, ასე რომ მოხდა. სკოლის დამთავრების მერე მალე გავთხოვდი. თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზეც, ფაქტობრივად, მამის რჩევით ჩავაბარე. გამოცდაზე რომ გავედი, ორსულად ვიყავი. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მეუღლეც და მისი ოჯახიც მგულშემატკივრობდნენ, გამოცდაზე მხოლოდ მამა მახლდა. მაშინ ზეპირი გამოცდა იყო, მაქსიმუმი ქულა 5. მახსოვს, მოვყევი საკითხები, რომელიც ბილეთში მოვიდა და დამიწერეს 4. ფეხზე რომ წამოვდექი და შენიშნეს, ორსული ვიყავი, 1 ქულა მომიმატეს. მამა რაიონში ძალიან გახარებული წავიდა — მაღალქულიანების სიაში ვიყავი, შესაბამისად, უკვე გარკვეული იყო, რომ ჩაბარებული მქონდა.

— უნივერსიტეტში სწავლა ახალგაზრდა დედას არ გაგიჭირდათ?

— საკმაოდ რთული იყო, მაგრამ ოჯახი მიწყობდა ხელს. თან, დაუსწრებელზე ვსწავლობდი. 2 ბიჭი გავზარდე, პარალელურად, სულ ვსწავლობდი ან ვმუშაობდი. სხვადასხვა თანამდებობაზეც ვიყავი, ბოლოს კი, საგადასახადოს მთავარი ბუღალტერი გახლდით, მაგრამ 2007 წელს სამსახურიდან სრულიად მოულოდნელად გამათავისუფლეს.

— 2007 წელს ხელისუფლებაში ნაციონალები იყვნენ. თქვენ კი, როგორც ვიცი, გია ბარამიძის ნათესავი ხართ. ამის მიუხედავად სამსახურიდან მაინც დაგითხოვეს?

— დიახ, გია ბარამიძის მამიდა ვარ, მაგრამ მიუხედავად ამისა, სწორედ ნაციონალების დროს, ახალმა ხელმძღვანელმა საგადასახადოში მოსვლის მეორე დღესვე გამათავისუფლა. ახლა ვხვდები, ალბათ, ბევრი რამ არ უნდა დამენახა. ამით იმას არ ვამბობ, რომ მაშინ სისტემურად იყო რაიმე პრობლემა. ჩანს, კონკრეტულ პიროვნებას არ აწყობდა, იქ ვყოფილიყავი და ინფორმაცია მქონოდა. სხვათა შორის, ამ ეჭვს, კიდევ უფრო მიმძაფრებს ფაქტი, რომ ადამიანი, რომელმაც გამათავისუფლა, 6 თვეში მოხსნეს სამსახურიდან. საკმაოდ სტრესული ვითარება იყო — ერთ დღეს, მოულოდნელად, აღმოვჩნდი სამსახურის გარეშე. ამის მერე არც არავინ შემიწუხებია და არც მიცდია უკან დაბრუნება — არ მიყვარს, როცა ადამიანს რაიმეს ამ კუთხით ვთხოვ და არც ის მომწონს, როცა ვინმეს თვალში ვეჩხირები. დავიწყე ფიქრი იმაზე, რა გამეკეთებინა და აუდიტორული კომპანიის შექმნის იდეაც გაჩნდა.

— კომპანია რა რესურსით შექმენით?

— თავიდან გაჩნდა იდეა და ერთ პატარა ოთახში დავიწყეთ მისი განხორციელება. შემდეგ, ვაკის გამგეობის შენობაში გადმოვედით. პირველ სართულზე, გაუბედურებულ ოთახში შევედით. მერე, გვერდით ოთახი, ერთმა ქალბატონმა ნებით დამითმო. პირველ სართულზევე სასადილო იყო გახსნილი, რომელიც არ მუშაობდა კარგად და მეპატრონემ მითხრა, სჯობია, აქ შენ იმუშაოო — 150 კვადრატული ფართი, სულ რაღაც, 300 ლარად მომაქირავა. საშინელი პირობები იყო, დანგრეული, ურემონტო, ვირთხები დარბოდნენ... გავარემონტე და დავიწყეთ საქმე. მერე კი, ოფისისთვის ფართი ვიყიდე. ბანკიდან საკმაოდ სოლიდური კრედიტი გამოვიტანე და ყოველთვიურად დიდ თანხასაც ვიხდი.

— ნათქვამია, დიდი მიღწევისთვის დიდი რისკია საჭიროო. როგორც ჩანს, ღირდა, გაგერისკათ არა?

— ზოგადად, არ ვფიქრობ, რომ რისკიანი ვარ. ოფისისთვის ეს ფართი რომ ვიყიდე, უზრუნველყოფად ეს ჩავდე. თუ ვერ გადავიხდი, ამ ფართს დავკარგავ ანუ, არ მექნება ის, რაც ისედაც არ მქონდა. გარისკვა, ალბათ, ის უფროა, ერთი ბინა რომ გაგაჩნია და იმას ჩადებ გაურკვეველ საქმეში. ეს ფართი რომ არ მეყიდა, წარმატება ასე მალე არ მოვიდოდა. ჩვენი კომპანია 2008 წლიდან არსებობს მხოლოდ.

— 2008 საქართველოსთვის ძალიან რთული წელი იყო ეკონომიკური თვალსაზრისითაც. ამ დროს არც ბიზნესის დაწყება იყო რისკი?

— არა, რადგან 2008 წელს საქართველოში საშინელი ვითარება ნამდვილად იყო, მაგრამ ბიზნესი მაინც კეთდებოდა და კანონი კანონობდა.

— ბიზნესი კეთდებოდა, მაგრამ მასზე ხელისუფლება ზეწოლასაც ახდენდა.

— არ ვიცი, მე არ მაქვს ისეთი ბიზნესი, რომელზეც შეიძლება ზეწოლა მოახდინო. არც წარმოვადგენ ბიზნესმენთა ასეთ ფენას და არც ვემსახურები. ჩვენ გვაქვს სამი კომპანია — ჩემი, UHY ARG Group, რომელსაც ჩემი შვილი აკაკი ჟამუტაშვილი ხელმძღვანელობს, UHY Baramidze consulting ჩემი ძმისშვილი ნანა ბარამიძე უდგას სათავეში და UHY audit bussines academy, რომელსაც მე და ჩემი ერთგული მეგობრები ვუძღვებით. UHY (ურბან ჰაკერ იანგი) საერთაშორისო აუდიტორულ კომპანიებს შორის ერთ-ერთი საუკეთესოა. მას მსოფლიოს 89 ქვეყანაში აქვს ბიზნესი და მისი პარტნიორები ვართ. საერთოდ არ ველოდით, ისე დაგვიკავშირდნენ, გვესტუმრნენ. ბიზნესშეხვედრა მოვუწყვეთ. საქართველოში 15 კომპანიის წარმომადგენლებსაც შეხვდნენ, მაგრამ პარტნიორად ჩვენ აგვირჩიეს.

— არჩევანი, მაინცდამაინც, თქვენ კომპანიაზე რატომ გააკეთეს?

— ვვარაუდობდი და მათაც განმიმარტეს, რომ არჩევანი ჩვენ კომპანიაზე იმ ოჯახური გარემოს გამოც შეაჩერეს, რომელიც აქ დახვდათ. ამას ალბათ ისიც ემატება, რომ გვაქვს საბუღალტრო, მენეჯმენტის სწავლებაც. ნებისმიერ მსურველს შეუძლია ამ მიმართულებით მიიღოს ჩვენთან განათლება. ბუღალტერიას ვასწავლით ნულიდან და მოქმედ ბუღალტრებსაც ვაძლევთ ცოდნის დონის ამაღლების საშუალებას. სხვათა შორის, ჩემ კომპანიაშიც სულ აქ ნასწავლი ბუღალტრები მყავს აყვანილი, ბუღალტრულ მომსახურებას კი, სრულიად განსხვავებულად ვაკეთებთ.

— განსხვავებული ბუღალტერია რას ნიშნავს?

— სხვა კომპანიები მხოლოდ აუდიტორულ მომსახურებას ეწევიან, ჩემი კომპანია — ბუღალტრულსაც. განსხვავებული მაქვს ბუღალტრული მომსახურების სტილიც. ყველა აკეთებს ბუღალტერიას თავისი ინტერპრეტაციით, მე კი, მხოლოდ იმას ვაკეთებ, რაც წიგნსა და კანონში წერია. გარდა ამისა, კლიენტს იურიდიულ თუ საინჟინრო მომსახურებასაც ვთავაზობთ, ბიზნესგეგმების შედგენასაც...

— შეგიძლიათ, გაიხსენოთ ისეთი საქმე, რომელიც გეამაყებათ, რომ თქვენმა კომპანიამ შეასრულა?

— კონკრეტულად, კომპანიებსა და საქმეებს არ გამოვყოფ, თუმცა ბევრი დავა მოგვიგია სახელმწიფოსთან. შეიძლება ვინმესთვის დაუჯერებლად ჟღერდეს, მაგრამ ასეთი მართლაც ბევრი შემთხვევა მოხდა და ეს სახელმწიფოს დამსახურებაცაა, რადგან აქ კანონი კანონობს.

— კანონი კანონობდა ნაციონალების დროს თუ ახლა კანონობს? ისიც საინტერესოა, ბიზნესის კეთება, რომელი ხელისუფლების დროს უფრო მარტივი იყო?

— სიმართლე გითხრათ, ადრეც კანონობდა და ახლაც. როგორც ვმუშაობდი, ისე ვმუშაობ. უკანონოს არაფერს ვაკეთებ და, შეიძლება, ვიღაცას გაუკვირდეს, ბიზნესის სუფთად კეთება როგორ შეიძლებაო, მაგრამ, მერწმუნეთ, შეიძლება. ალბათ, წარმატება ამანაც მომიტანა, რომ ყოველთვის კანონის ფარგლებში ვმოქმედებ და უხმაუროდ ვაკეთებ ჩემ საქმეს.

— ესე იგი, თქვენი წარმატების საიდუმლო კანონის დაცვაა?

— არა, ჩემი წარმატების საიდუმლო ჩემი შვილებია. სხვასთან ერთად როცა აკეთებ საქმეს, ვინც უნდა იყოს, ყველაფერი ალბათ სხვაგვარადაა, მაგალითად, სხვა პარტნიორი რომ მყოლოდა, ამ ფართს ალბათ არ მაყიდვინებდა, ეცდებოდა, თანხის ნაწილი თვითონ მოეხმარა... ჩემმა შვილებმა კი, კარგად გაიაზრეს, რომ ეს მათთვის კეთდებოდა. კიდევ, წარმატების საიდუმლო ალბათ ისაა, რომ სანდო და ერთგული ადამიანი ვარ, ამას ბიზნესმენები ყოველთვის გრძნობენ. პარალელურად, მაქვს კიდევ ერთი კარგი ჩვევა — გადაწყვეტილებას სწრაფად ვიღებ. ერთ საკითხთან დაკავშირებით ერთი თვე რომ აწარმოო მოლაპარაკებები, ის საქმე არ გამოვა.

— ანუ არ ეთანხმებით ანდაზას, ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერიო?

— ამ შემთხვევაში, არა. როგორც კი საქმის ასჯერ „გაჭრას“ დაიწყებ, ჩაიშლება. გადაწყვეტილების მიღებისას, ალბათ, გარკვეული როლი, ინტუიციამაც უნდა შეასრულოს, არც დროა იმის, ერთ საკითხს დიდხანს უკირკიტო. სხვათა შორის, დროის არქონაა ის, რის გამოც, რამდენიმე მეგობარი გამინაწყენდა კიდეც. მათთვის ვეღარ მოვიცალე... გული მწყდება, რომ გამინაწყენდნენ, ასე არ უნდა მოქცეულიყვნენ. პირიქით, უნდა მოსულიყვნენ ჩემთან, ერთად გავაკეთებდით საქმეს და თვითონაც წარმატებულები იქნებოდნენ. რამდენიმე მედგა კიდეც გვერდით, მაგრამ ალბათ ვერ გაუძღვეს ამ რუტინულ შრომას — უმეტესად, დილის 9-დან ღამის 12 საათამდე ოფისში ვარ და ვმუშაობ.

— მოკლედ, სამზარეულოში ფუსფუსისთვის დრო არ გრჩებათ?

— სამწუხაროდ, არა. ამ საქმეს სახლში რძალი და დედა აკეთებენ. დედა 92 წლისაა... ამასწინ შეუძლოდ გახდა, ექიმი გამოვიძახეთ. მან იკითხა, საერთოდ დგება ხოლმე ფეხზეო. ჩემმა უმცროსმა შვილიშვილმა ლუკამ უთხრა, დგება კი არა, ამ სამსართულიან სახლში ყველაფერს ბებო აკეთებსო. გაოცდა ექიმი. სხვათა შორის, დედას 2 უფროსი დაც ცოცხალია და მათგან ერთს, უკვე 102 წელი შეუსრულდა... მოკლედ, ოჯახში საქმე განაწილებულია და არ არის პრობლემა, სამზარეულოში ფუსფუსისთვის დრო თუ არ მრჩება.

— ალბათ, სიმღერისთვის უფრო ადვილად მოიცლით, თუ ძველ გატაცებას უღალატეთ?

— არა. მუსიკისთვის დრო უფრო ხშირად მაქვს. საღამოს, თანამშრომლები რომ წავლენ, მე და ჩემი ძმისშვილი ვრჩებით. ჩავრთავთ მუსიკას და ისე ვმუშაობთ. ხშირად ვმღერი კიდეც. სხვათა შორის, მგონი, მუსიკის სიყვარული ჩემგან უმცროს შვილიშვილს, ლუკას გამოყვა. პიანინოზე დაკვრა საკუთარი სურვილით დაიწყო და მასწავლებელი მოვუყვანეთ სახლში. კარგი მონაცემები აქვს. ხატავს კიდეც. ლუკაც და უფროსი შვილიშვილი ირაკლიც, კარგად სწავლობენ. მათთან ერთად ყოფნა ძალიან მიყვარს. ზოგადად, შინ, ოჯახის წევრებთან ყოფნა მსიამოვნებს. ყველაზე კარგად თავს შინ ვგრძნობ, სახლია ის ადგილი, სადაც ბედნიერი ვარ.

ათასობით საჯარო მოხელეს სამსახურის დაკარგვა ემუქრება!

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, პარლამენტის მიერ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებებით, თვითმმართველობის ყველა მოხელე დროებით მოვალეობის შემსრულებლად ჩაითლება. ამ თანამდებობებზე პირები, კონკურსის წესით, არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან არაუგვიანეს 120-ე დღეს უნდა დაინიშნონ.

გიგი უგულავა „ოცნებას“ საკონსტიტუციო სასამართლოში უჩივის

არასამთავრობო ორგანიზაციების (საია, საერთაშორისო გამჭვირვალობა–საქართველო და სხვ.) განცხადებით, საჯარო სამსახურის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებები არჩევნების მიმართ ნდობას აქვეითებს და იმის ალბათობას ზრდის, რომ წინასაარჩევნოდ მოხელეებმა, სამსახურის შენარჩუნების მიზნით, მმართველ პარტიაზე იმუშაონ.

არასამთავრობოების თქმით, აღნიშნული დებულება საკანონმდებლო პაკეტის ინიცირებულ ვერსიაში არ ყოფილა და მოგვიანებით, მესამე მოსმენით განხილვისას დაემატა: **„აღნიშნული ნორმის თაობაზე საზოგადოება სათანადო წესით ინფორმირებული არ იყო და ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ როგორი ხარვეზიანი იყო თვითმმართველობის კოდექსისა თუ თანდართული კანონპროექტების განხილვის პროცედურა, რაც დაუშვებელია, მით უფრო, ამ მასშტაბისა და მნიშვნელობის რეფორმის წარმოებისას. აღსანიშნავია, რომ მოცემული მუხლი კანონში პარლამენტის რეგლამენტის მოთხოვნების უხეში დარღვევით შევიდა. კერძოდ, ის პრინციპული საკითხების კატეგორიაში გადის და შესაბამისად, დოკუმენტის ტექსტში კანონპროექტის პირველი მოსმენით მიღებამდე უნდა ასახულიყო. კანონპროექტის მესამე მოსმენისას კი მხოლოდ რედაქციული ცვლილებებია შესაძლებელი და არა ზოგადი პრინციპებისა თუ ძირითადი დებულებების ცვლილება“.**

ამასთან, ცვლილება წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციითა და თავად საჯარო სამსახურის შესახებ კანონით გარანტირებულ უფლებებსა და პრინციპებთან: **„კანონის მე-13 მუხლი განსაზღვრავს, რომ საქართველოში საჯარო სამსახურის ძირითადი პრინციპებია მოსამსახურეთა კადრების სტაბილურობა, მოსამსახურის ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი დაცვა. საჯარო სამსახურში დასაქმებასთან დაკავშირებულ საკითხებს კონსტიტუცია 29-ე მუხლის პირველი პუნქტის ფარგლებში განიხილავს. ეს ნორმა ადგენს, რომ ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება, დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, აღნიშნულ წესში მოიაზრება არამხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან პირის საჯარო სამსახურში თანამდებობაზე დანიშვნისათვის გონივრული, არადისკრიმინაციული რეგულაციების დადგენის ვალდებულება, არამედ, საჯარო მოსამსახურეების უფლება, დაცული იყვნენ სამსახურიდან დაუსაბუთებელი გათავისუფლებისგან“.**

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, არასამთავრობო ორგანიზაციები პარლამენტსა და მთავრობას მოუწოდებენ, ყველა ზომა მიიღონ და აღნიშნული ნორმის ამოქმედება არ დაუშვან. წინააღმდეგ შემთხვევაში, საჯარო სამსახურის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილების ძალადაკარგულად ცნობის მოთხოვნით, საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავენ.

ქალაქ თბილისის მერიაში აცხადებენ, რომ აღნიშნული ცვლილებები, დაახლოებით, 13 ათას ადამიანს უმუშევრად დატოვებს: **„ცალსახაა, რომ ამ გადაწყვეტილებით, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, თანამდებობიდან გათავისუფლებულად გამოაცხადეს ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა მოხელე (დაახლოებით, 13 000 ადამიანი) მაშინ, როდესაც ადამიანის შრომის უფლება კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით დაცული და გარანტირებული ადამიანის ძირითადი ფუნდამენტური უფლებაა“.**

თბილისის უფლებამოსილებაშეჩერებული მერი გიგი უგულავა საჯარო სამსახურის შესახებ კანონში შეტანილ ცვლილებებს საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრებს: **„პირადად მე, უზრუნველვყოფ საკონსტიტუციო სარჩელს, რომ გავასაჩივროთ ეს მუხლი, რომელიც პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციასა და კონსტიტუციურ უფლებასთან, რომელიც ჩვენს თანამოქალაქეებს აქვთ... თავიდან უნდა ავიცილოთ პირდაპირი ნიშნით პოლიტიკური დევნა, რომელიც დაგეგმილია ადგილობრივი არჩევნების შემდეგ. ეს ცვლილება, მხოლოდ და მხოლოდ, წლევანდელ ადგილობრივ არჩევნებს ეხება ანუ ერთხელ გავყრით ამ ხალხს, მოიყვანენ ნათესავებს, დაასაქმებენ და მერე, ეს ნორმა აღარ იმუშავებს“.**

საჯარო მოხელეთა პროფესიული კავშირიც კანონში შეტანილ ზემოხსენებულ ცვლილებას ადამიანის შრომის უფლების უხეშ დარღვევად აფასებს:

„აღნიშნული ცვლილებების შედეგად, შესაძლებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებულ საჯარო მოხელეთა დიდი ნაწილი, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, უსამსახუროდ დარჩეს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ქვეყანაში არ არსებობს უმუშევრობის შემწეობა. ცალსახად ილახება ადამიანის ისეთი ფუნდამენტური უფლება, როგორიცაა შრომის უფლება, რომელიც დაცული და აღიარებულია არამარტო საქართველოს კანონმდებლობით, არამედ მთელი რიგი ისეთი საერთაშორისო აქტებით, როგორიცაა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ევროპის სოციალური ქარტია, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნდამენტური კონვენციები, რომლის დაცვაც სახელმწიფოს უპირობო ვალდებულებაა.

ამასთან, ცვლილებები კანონში შევიდა დაინტერესებული მხარეების ყოველგვარი ჩართულობის გარეშე — არ გამართულა კონსულტაციები საჯარო მოსამსახურეთა უფლებების დამცველ ორგანიზაციასთან“.

როგორც „ვერსიამ“ გაარკვია, პარლამენტის იურიდიული კომიტეტი ამ ცვლილებების მომზადებაში, უშუალოდ, ჩართული არ ყოფილა. კომიტეტის თავმჯდომარის, ვახტანგ ხმალაძის თქმით, ცვლილებები ჯანდაცვის კომიტეტმა და იუსტიციის სამინისტრომ მოამზადეს, ავტორები პროფკავშირთან რაღაცაზე შეთანხმდნენ. **„რამდენადაც ვიცი, შეათანხმეს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთანაც, მაგრამ საკითხის დეტალებზე ვერაფერს მოგახსენებთ“,** — აცხადებს ხმალაძე.

ნაკლებად ეტყობა, რომ საჯარო სამსახურის კანონში შეტანილი სადავო ცვლილებები დაინტერესებულ მხარეებთან ბოლომდე შეთანხმებულია. ასეა თუ ისე, ფაქტია: შრომის ფუნდამენტური უფლების ასე დაუფარავად გათელვა მთავრობას პოლიტიკურ დივიდენდებს ნამდვილად არ მოუტანს.

რა უბიძგებს არასრულწლოვნებს გათხოვებისკენ

ანი ბეშიტაიშვილი
597-39-99-42

12 წლის ქუთაისელი გოგონას გათხოვებამ, რომელიც მშობლებს, თავდაპირველად, დაკარგული ეგონათ და დახმარებისთვის სამართალდამცავებსაც მიმართეს, ერთი ამბავი გამახსენა: ჩემი ნაცნობის დიდი ბებია, თურმე, 9 წლის გაათხოვეს. გოგონას მამამთილი მოკვდომია, ძაძებით შეუმოსავთ და ჭირისუფლად დაუსვამთ. უცებ, ბავშვი წამომხტარა, ეზოში გავარდნილა და ლეღვის ხეზე ასულა. დედამთილი გამოკიდებია და უთქვამს, მოდი, შვილო, შავები გაიხადე, შენ წესიერად ისიც არ იცი, სიკვდილი რა არისო... შეიძლება, ტენდენციის სახე ჯერ არ აქვს, მაგრამ საქართველოში არასრულწლოვანთა გათხოვება ისევ მოდური ხდება. რატომ დგამენ თინეიჯერები ამ ნაბიჯს? — „ვერსია“ ფსიქოლოგ ელისო კეთილაძეს ესაუბრა.

— როცა მოზარდი სახლიდან გარბის, ეს, პირველ რიგში, მშობლებთან ურთიერთობის პრობლემაა. საერთოდ, სქესობრივი მომწიფების ასაკში, ადამიანის ბიოლოგიური და ჰორმონალური მდგომარეობა ემოციურ ფონს წევს და ამ დროს, მოზარდებთან ურთიერთობა დიდ სიფრთხილეს საჭიროებს. თუკი მშობელი ატყობს, რომ პირმშოს თვალში იდეალის როლი დაკარგა, უნდა ეცადოს, ბავშვს საერთო ენა მეგობრებსა თუ ოჯახის ახლობლებთან მაინც გამოაძებნინოს და მათი ზეგავლენით არაორდინალური გადაწყვეტილებები თავიდან ააშოროს. ბავშვებს, ცხადია, გაცნობიერებული არ აქვთ, რა პასუხისმგებლობაა ოჯახი, ცოლობა, დედობა, ამიტომ დაოჯახება უფრო არსებული ვითარებიდან გაქცევასა და თავისუფლებისთვის ბრძოლას ჰგავს, რასაც სექსუალური მოთხოვნილებებიც ემატება. გარდატეხის ასაკში მიაჩნიათ, რომ ყველაფერში მართლები არიან და მათ, უბრალოდ, ვერ უგებენ, ამიტომ, სადაც სითბოს პოულობენ, იქით იწევენ და ეს, სავარაუდოდ, საპირისპირო სქესია. სინამდვილეში კი, მსგავსი ნაბიჯი ძალიან მცდარია.

— რომელი ასაკიდან იწყებს მოზარდი სექსუალურად ჩამოყალიბებას?

— ეს პროცესი ეტაპობრივად, 12-დან 18 წლამდე მიმდინარეობს, მაგრამ, როცა საქმე აქსელერაციასთან (ზრდა-განვითარების დაჩქარება) გვაქვს, ეს პერიოდი შესაძლოა, 10 წლის ან უფრო პატარა ასაკშიც დადგეს.

— ძველად, საქართველოში, 9-10 წლის ბავშვებს მშობლები აათხოვებდნენ...

— არ ვიცით, მაშინ ადამიანის სიცოცხლის საშუალო ასაკი რა იყო და რა ბუნებრივ პირობებში ცხოვრობდნენ. შესაძლოა, ექსელერაცია, კლიმატური და ბიოლოგიური მოვლენების ფონზე, ბუნებრივად ნაადრევად დგებოდა. შეიძლება, გათხოვებისთვის მომწიფებულნი არც იყვნენ და ეს, უბრალოდ, ტრადიცია იყო. მას შემდეგ განვვითარდით, მედიცინაც წინ წავიდა და ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლიობაც შეიცვალა. ადამიანებს სხვადასხვა ფასეულობა აქვთ, ჩემს პრაქტიკაშიც ყოფილა შემთხვევა, როცა მშობელმა გადაწყვიტა, არასრულწლოვანი შვილი „კარგად“ გაათხოვოს.

— ერთ დროს გოგოების მოტაცება იყო მოდური...

— მოტაცება ძალადობრივი აქტია და ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში ისე ფასდება, როგორც კრიმინალი. როცა მოტაცება მოდურია, მაშინ საქმე ნორმალურ სოციუმთან არ გვაქვს და ფასეულობათა სისტემაც გადასაფასებელია. რაც შეეხება მსგავს მდგომარეობაში ოჯახის შექმნას, პირველ რიგში, ეს მოდის ქალიშვილობის ინსტიტუტიდან — ადამიანების გარკვეულ კატეგორიას ტრაგედიად მიაჩნია, რომ თუკი მოტაცებული გოგო ქალიშვილი აღარ არის, შინ არ უნდა დაბრუნდეს. რომელ ღირსებაზეა საუბარი, როცა შენი შვილი, რომელიც მოიტაცეს, უცხო ადამიანთან, ამ შემთხვევაში, მოძალადესთან დატოვო?

— ისეც მომხდარა, რომ მოძალადე ქალს შეჰყვარებია...

— მონას თავისი ბატონი იმიტომ უყვარს, რომ იძულებულია! მოძალადესთან დახმარების გარეშე დარჩენილი ქალი, იძულებულია, ბედს შეეგუოს, რადგან სტრესულ მომენტში წასასვლელი არსად აქვს და ჰგონია, ამ მადგომარეობიდან გამოსავალი არ არსებობს. სწორედ ამ შეგუებას არქმევს სიყვარულს, თუმცა რეალურად, ეს სიყვარული არაა.

— მაინც, რომელ ასაკშია უპრიანი ოჯახის შექმნა?

— როცა ადამიანი შემდგარი, პიროვნულად მოწიფებულია, პროფესია და საიმისო პირობები აქვს, რომ ოჯახზე პასუხისმგებლობა აიღოს. არ არის საუბარი გენდერზე, ქალი იქნება თუ მამაკაცი, მთავარია, ეს ნაბიჯი გაცნობიერებული ჰქონდეს.

ტანსაცმელს სამგანზომილებიანი პრინტერი დაბეჭდავს

ესპანელმა ენთუზიასტმა ჯერარდ რუბიომ 3D-პრინტერის პროტოტიპი შექმნა, რომელიც საშუალებას იძლევა, სახლის პირობებში შექმნათ ტანსაცმლის საკუთარი კოლექცია. სამოსის ასარჩევად მაღაზიებში სიარული დამღლელი და, იმავდროულად, ძვირია, მაგრამ ადამიანების უმრავლესობას სხვა არჩევანი არ აქვს — ყველას ხომ არ შეუძლია საკუთარი გარდერობი შეკეროს. საბედნიეროდ, ახლა, OpenKnit-ის წყალობით, ყველაფერი შეიცვლება. OpenKnit 3-პრინტერია, რომელიც ტანსაცმლის „დასაბეჭდადაა“ განკუთვნილი და 757 დოლარი ღირს. მოწყობილობა საშუალებას იძლევა, ნებისმიერი ზომისა და თარგის ტანსაცმელი „დაბეჭდოთ“. სპეციალური დამატებითი ფუნქციების მეშვეობით, შესაძლებელია პრინტერისთვის ზომების მითითება, ყველაფერ დანარჩენს კი მოწყობილობა თავად გააკეთებს. თუმცა, ზოგჯერ მაინც საჭიროა ძაფის კოჭების გამოცვლა, ტანსაცმელი სულ ერთფეროვანი რომ არ გამოვიდეს. ახალი ტექნოლოგია ჯერ კიდევ შორსაა სრულყოფისგან, „დაბეჭდილი“ ტანსაცმელი ხარისხით ჩამორჩება ბუტიკების პროდუქციას. სამაგიეროდ, გამოგონება დამწყებ დიზაინერებს დაეხმარება, საკუთარ ქმნილებებს სახლის პირობებში მისცენ დასრულებული სახე.

სეირნობა ტვინისთვის სასარგებლოა

სეირნობა არა მხოლოდ განწყობას ამაღლებს, კუნთები ტონუსში მოჰყავს და გახდომის ერთ-ერთი საშუალებაა. აღმოჩნდა, რომ ფეხით გასეირნება ასევე მეტად სასარგებლოა ტვინისთვისაც, ის ხელს უწყობს მის ზრდას — იმ ნაწილისას, რომელიც მეხსიერებაზეა პასუხისმგებელი და პირველი შეიგრძნობს ასაკობრივი დემენციის შედეგებს. ასეთ მოულოდნელ დასკვნებამდე ამერიკელი მეცნიერები მივიდნენ. ექსპერტებმა კვლევაში 55-დან 80 წლამდე ასაკის 100 მონაწილე ჩართეს, ვინც არასოდეს ყოფილა სპორტით დაკავებული. რესპონდენტები ორ ჯგუფად დაყვეს — ერთის წევრებს 7 დღის განმავლობაში სამჯერ უნდა გაესეირნათ ნახევარი საათით, მეორე ნახევარს სახლიდან გაუსვლელად უნდა ევარჯიშათ. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ექსპერიმენტის შედეგები შეაჯამეს და აღმოჩნდა, რომ პირველი ჯგუფის წევრების, თავის ტვინის ქერქისა და ჰიპოკამპის ზოგიერთი ნაწილი, რომელიც მეხსიერებაზეა პასუხისმგებელი, ცოტათი (2-3%-ით), მაგრამ მაინც გაზრდილი იყო. სხვა მონაწილეების ტვინი კი 1,%%-ით შემცირდა.

სუნამო ყავის არომატით

დიდ ბრიტანეთში, საქველმოქმედო ორგანიზაციამ ჯაცმილლან ახალი სუნამო წარმოადგინა, რომელსაც ყავის არომატი აქვს. „ყავის სუნამოს“ რეკლამირებას „მის შოტლანდია“ ჯენიფერ რეიჩი უწევდა. უამრავ ადამიანს უყვარს ამ არომატული სასმელის სურნელი. ასე რომ, ვიფიქრეთ, ისეთი სუნამო შეგვექმნა, რომელიც ყავას გახსენებს, — ამბობს ორგანიზაციის ოფიციალური წარმომადგენელი. ჯაცმილლან-ში ვარაუდობენ, რომ ახალი არომატის გაყიდვით ფონდში შესული თანხა 15 მილიონ გირვანქა სტერლინგს გადააჭარბებს.

ქალებს ექიმები და არქიტექტორები იზიდავს

ერთ-ერთი საქორწინო სააგენტოს თანამშრომლებმა გამოკითხვა ჩაატარეს და აღმოჩნდა, რომ ძლიერი სქესის წარმომადგენლებს ჟურნალისტები და ადვოკატები მოსწონთ, მანდილოსნები კი უპირატესობას ექიმებსა და არქიტექტორებს ანიჭებენ. ორივე სქესის წარმომადგენელთა არჩევანი ერთ ფაქტზე მიუთითებს: მათი რჩეული დამოუკიდებელი, თავისუფალი ადამიანი უნდა იყოს და შემოსავლიანი, საინტერესო საქმით უნდა იყოს დაკავებული. მამაკაცებს ასეთად ადვოკატები და მედიის წარმომადგენლები მიაჩნიათ, ასევე მოსწონთ დიზაინერები, პიარმენეჯერები, ფოტოგრაფები, რეკლამისა და მარკეტინგის სპეციალისტები. მშვენიერ სქესს განსხვავებული შეხედულება აღმოაჩნდა, მათ ყველაზე მეტად მედიცინის მუშაკები და არქიტექტორები აღაფრთოვანებს, მოსწონთ ასევე შემოქმედებითი ადამიანები, ინჟინრები, რეჟისორები, მეცნიერები, დიზაინერები, ეკოლოგები და მეწარმეები.

ბედის შეცვლას სკალპელით ცდილობენ

ამომავალი მზის ქვეყნის მცხოვრებთა შორის, როგორც ჩანს, საკმაოდ პოპულარულია ქირომანტია, რადგან მასობრივად იკეთებენ პლასტიკურ ოპერაციებს ხელისგულზე, ხაზები რომ შეცვალონ და, შესაბამისად, ბედიც. აქაური ქირურგები აცხადებენ, რომ ყველაზე ხშირად პაციენტები ითხოვენ იმ ხაზების დაგრძელებას, რაც წარმატებას ან ბედნიერ ქორწინებას უკავშირდება. მსგავსი პლასტიკური ოპერაცია, დაახლოებით, 110 დოლარი ჯდება და ელექტროსკალპელის დახმარებით კეთდება. ქირურგიული ჩარევა სულ 10-15 წუთი გრძელდება და ამ პერიოდში, სპეციალისტი ასწრებს 5-10 ხაზის შესწორებას. მამაკაცები, როგორც წესი, ბიზნესში წარმატებასთან დაკავშირებულ ხაზებს იცვლიან, ქალები კი, ყველაზე ხშირად, გათხოვების ხაზების კორექტირებას ახდენენ.

პაციენტს მარგალიტით უმკურნალა

ჩინელმა ექიმებმა ერთ-ერთი პაციენტის სხეულიდან 42 ცალი მარგალიტი ამოიღეს. საქმე ისაა, რომ 2011 წელს პროვინცია ჰუნანის მცხოვრებმა, 61 წლის მამაკაცმა წელის ტკივილის გამო, სახალხო მკურნალს მიაკითხა, რომელმაც ავადმყოფის განკურნება კანქვეშ მარგალიტების განთავსებით გადაწყვიტა. ექიმმა მითხრა, რომ მცირე ზომის ჭრილობაში ძვირფას ქვებს ჩადებდა და სხეულში დატოვებდა. უნდა ვთქვა, ამ პროცედურის შემდეგ, თავი უკეთ ვიგრძენი, — ამბობს არატრადიციული მკურნალობის თაყვანისმცემელი, რომელსაც ეს საქციელი მალე სანანებელი გაუხდა — მალე წელის ტკივილს, სახსრებიც დაემატა და მოძრაობა მნიშვნელოვნად შეეზღუდა. შეწუხებულმა პაციენტმა ექიმის მოძებნა გადაწყვიტა, მაგრამ ველარ მიაგნო, ამიტომ იძულებული გახდა, გამოცდილი ექიმებისთვის მიემართა. ნანახმა მედიკოსები გააოგნა. ერთ-ერთი ქირურგის თქმით, მკურნალობის ამ „ველურმა“ მეთოდმა ჩინელს ძვლებიც კი დაუზიანა, მათ შორის ბარძაყის სახსარი და ამის გამო, ახლა რეკონსტრუქციული ქირურგიის კურსის გავლა მოუწევს.

ბრიტანეთში საოცნებო ვაკანსია გამოცხადდა

ინგლისელი ბლოგერები რამდენიმე დღეა აქტიურად განიხილავენ ვაკანსიას, რომელიც სანტექნიკის მაღაზიათა ერთ-ერთმა ადგილობრივმა ქსელმა Bathstore გამოაცხადა. კომპანიის განცხადებაში ნათქვამია, რომ „აბაზანის მიღების დირექტორს“ ეძებენ, რომლის მოვალეობები გაყიდვების მენეჯერისას ჰგავს, განსხვავებით, რომ მოუწევს ყოველი პროდუქტის საკუთარ თავზე გამოცდა. სწორედ ამიტომ სამუშაოს მაძიებლისთვის სპეციფიკური მოთხოვნებია წაყენებული: საკუთარ სააბაზანოში საკმარისი ადგილი უნდა ჰქონდეს კიდევ ერთი, „სამუშაო“ აბაზანის დასადგმელად, გამოცდის შემდეგ კი ნიმუში სხვა ეგზემპლარით შეიცვლება. როგორც ჩანს, ფირმის თანამშრომელმა სამუშაო დროის უდიდესი ნაწილი აბაზანაში უნდა გაატაროს და ასეთი სამუშაოსთვის ხელფასიც ღირსეულია — 6 ათასი გირვანქა სტერლინგი წელიწადში.

კიდევ ერთი უჩვეულო ვაკანსია ცოტა ხნის წინ ფინეთში გაჩნდა — ჰელსინკის ერთ-ერთი სასტუმრო ძილის სპეციალისტს ეძებს. ყველაზე წარმატებულ კანდიდატთან 35-დღიან ხელშეკრულებას გააფორმებენ ღირსეული ანაზღაურებით. ვაკანსიაზე მხოლოდ ახალგაზრდა და შემოქმედებითი ადამიანები განიხილებიან, რომელთაც ფინური და ინგლისური ენები იციან, მოვალეობაში კი შედის არა მხოლოდ ძილი, არამედ სპეციალურ ბლოგზე „დახვეწილი და ელეგანტური“ პუბლიკაციების გამოქვეყნებაც.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲒᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

6					5		2	8
	9		1					4
	8				9	3		
1	2				8			
				1				
			4				8	5
		3	9				1	
7					6		3	
4	5		3					9

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

		8	4				9	
	1				2			7
7			1					6
1		6			5	2		
	4		9	2	6		5	
		2	3			9		8
4					9			2
2			7				1	
	8				3	5		

ᲠᲗᲣᲚᲘ

			9		7	6		
			3	2			8	9
5	3		4					
9		2						
	4			6			5	
						1		8
					3		6	4
6	2			4	8			
		1	6		2			

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

		2		8		7		4
			5	3		6		
	5				7			
	9		4					2
		3				1		
7					5		8	
			7				1	
		7		5	8			
1		9		4		8		

ᰔᲔᲠᲞᲔᲡᲘ ᲑᲐᲥᲢᲔᲠᲘᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲘᲪᲐᲕᲡ

ᰔᲔᲠᲞᲔᲡᲕᲘᲠᲣᲡᲔᲑᲘᲡ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲜᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲐᲛ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲡᲐᲡᲘᲙᲔᲗᲝ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ ᲘᲥᲝᲜᲘᲝᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲛᲖᲔ ᲓᲐ ᲘᲡ ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲑᲐᲥᲢᲔᲠᲘᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐᲘᲪᲕᲐᲡ, — ᲐᲡᲔᲗ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲕᲘᲓᲔᲜᲔ ᲐᲛᲔᲠᲘ�კᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ. ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲰᲥᲝᲜᲘᲐ ᲨᲔᲮᲔᲑᲐ ᲰᲔᲠᲞᲔᲡᲕᲘᲠᲣᲡᲔᲑᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲗᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲩᲣᲢᲧᲕᲐᲕᲘᲚᲐᲡ, ᲚᲐᲑᲘᲐᲚᲣᲠ ᲓᲐ ᲒᲔᲜᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠ ᲰᲔᲠᲞᲔᲡᲘᲡ, ᲘᲜᲤᲔᲥᲪᲘᲣᲠ ᲛᲝᲜᲝᲜᲣᲚᲔᲝᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲡ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ. ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕ, ᲮᲐᲜᲛᲝᲙᲚᲔ ᲛᲬᲕᲐᲕᲔ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲘᲜᲤᲔᲥᲪᲘᲐ ᲚᲐᲢᲔᲜᲢᲣᲠ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ �გᲐᲓᲐᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲤᲐᲠᲣᲚᲐᲓ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ. ᲐᲡᲔᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲡᲘᲐᲮᲚᲝᲕᲔ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔᲡ ᲐᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲓᲐᲡᲣᲡᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲛᲣᲜᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ, ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲪ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲝᲡ.

ᲑᲝᲚᲝᲠ ᲓᲠᲛᲓᲔ ᲛᲘᲐᲩᲜᲓᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲰᲔᲠᲞᲔᲡᲕᲘᲠᲣᲡᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲜᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲙᲐᲠ�გᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲘ ᲒᲕᲘᲩᲕᲔᲜᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲔᲡ ᲘᲜᲤᲔᲥᲪᲘᲐ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲪ ᲙᲘᲐ. ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲐᲠᲔᲑᲛᲐ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲘ ᲛᲪᲠᲚᲔᲚᲔᲑᲖᲔ ᲩᲐᲐᲢᲐᲠᲔᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲠᲙᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲒᲒᲕᲔᲑᲘᲡ ᲰᲔᲠᲞᲔᲡ-ᲕᲘᲠᲣᲡᲘᲗ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲜᲐᲓ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲝᲑᲐ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲑᲐᲥᲢᲔᲠᲘᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲔᲜᲘᲜᲒᲘᲢᲘᲡ, ᲔᲜᲪᲔᲤᲐᲚᲘᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲐᲕ ᲭᲘᲠᲘᲡ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ. ᲡᲬᲐᲕᲚᲣᲚᲗᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ, ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲛᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲣᲚᲘ ᲕᲘᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲠᲝᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲘᲛᲣᲜᲣᲠ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲖᲔ ᲛᲐᲗ ᲖᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲖᲔ. ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲰᲔᲠᲞᲔᲡᲕᲘᲠᲣᲡᲔᲑᲘᲡᲐ ᲗᲣ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲐ ᲣᲙᲕᲔ 100 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲘᲡᲘᲜᲘ �პᲐᲠᲐᲖᲘᲢᲣᲚᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲡᲘᲛᲑᲘᲝᲖᲖᲔ �გᲐᲓᲐᲕᲘᲓᲜᲔᲜ. ᲘᲡᲘᲪ ᲓᲐᲡᲐᲨᲕᲔᲑᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲔᲡ ᲕᲘᲠᲣᲡᲘ ᲒᲐᲜᲖᲘᲮᲘᲚᲝᲗ ᲐᲠᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲣᲪᲮᲝ (ᲒᲐᲠᲔᲨᲔ) ᲐᲒᲔᲜᲢᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲘᲛᲣᲜᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ, — ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ ᲐᲛᲔᲠᲘ�კᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ, ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲐᲕᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ, ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲗᲥᲛᲐ, ᲗᲐᲒᲒᲕᲔᲑᲖᲔ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ �რᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲛᲘᲔᲡᲐᲓᲐᲒᲔᲑᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ.



ᲜᲐᲮᲨᲘᲠᲬᲧᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲚᲝᲠᲘᲔᲑᲘ ᲡᲐᲨᲘᲨᲘᲐ

ᲐᲛᲔᲠᲘ�კᲔᲚᲘ ᲓᲘᲔᲢᲝᲚᲝ�გᲘ ᲓᲔᲕᲘᲓ ᲞᲔᲠᲚᲛᲐᲢᲔᲠᲘ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲜᲐᲮᲨᲘᲠᲬᲧᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘ ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲘ ᲢᲕᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲨᲠᲝᲑᲘᲡ, ᲓᲔᲛᲔᲜᲪᲘᲘᲡ, ᲐᲚᲪᲰᲔᲘᲛᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲡᲙᲘᲡ ᲖᲠᲓᲘᲡ. ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ, ᲓᲘᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲔᲜ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲙᲐᲚᲝᲠᲘᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲜᲐᲮᲨᲘᲠᲬᲧᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲓᲘᲓᲐᲠ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲡ. ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲢᲕᲘᲜᲘᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲕ, ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ, ᲡᲐᲘᲓᲐᲜ ᲘᲦᲔᲑᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲛᲘ ᲐᲛ ᲙᲐᲚᲝᲠᲘᲔᲑᲡ. ᲜᲐᲮᲨᲘᲠᲬᲧᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲚᲝᲠᲘᲔᲑᲘ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲕᲚᲘᲜᲓᲔᲑᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲨᲘ ᲨᲐᲥᲠᲘᲡ ᲓᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲣᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲗ, ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲘᲗ ᲘᲛ ᲙᲐᲚᲝᲠᲘᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲪᲮᲘᲛᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲘᲡᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲓᲘᲔᲢᲘᲡᲐᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡᲐᲪ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲘᲦᲔᲑᲡ ᲜᲐᲮᲨᲘᲠᲬᲧᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲐᲓ ᲨᲔᲛᲪᲕᲔᲚ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲡ, ᲓᲔᲞᲠᲔᲡᲘᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲓᲠᲔᲙᲘᲚᲘ ᲮᲓᲔᲑᲐ. �გᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲗᲣᲙᲘ ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲕᲠᲘᲪᲮᲐᲕᲗ ᲜᲐᲮᲨᲘᲠᲬᲧᲚᲔᲑᲡ (ᲮᲘᲚᲘ, ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘ, ᲑᲣᲠᲦᲣᲚᲔᲣᲚᲘ), ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲛᲡ ᲕᲐᲙᲚᲔᲑᲗ ᲡᲐᲙᲕᲔᲑ ᲜᲘᲕᲗᲘᲔᲠᲔᲑᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲜᲢᲘᲝᲥᲡᲘᲓᲐᲜᲢᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲞᲝᲖᲘᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ �გᲣᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲫᲐᲠᲦᲕᲔᲑᲖᲔ.

ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲡ ᲡᲘᲖᲛᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲐᲓᲒᲔᲜᲔᲜ

ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲚᲛᲐ ᲡᲬᲐᲕᲚᲣᲚᲔᲑᲛᲐ ᲚᲐᲤᲑᲝᲠᲝᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲓᲐᲜ ᲡᲘᲖᲛᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲐᲮᲡᲜᲐ ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲔᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘᲡ ᲡᲘᲖᲛᲐᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲐᲦᲬᲔᲠᲡ. ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲙᲝᲛᲛᲐᲠᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ, ᲛᲐᲗ ᲔᲡᲘᲖᲛᲠᲔᲑᲐ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲨᲐᲙᲘᲙᲘ, ᲒᲣᲚᲡᲘᲡᲘᲡᲮᲚᲫᲐᲠᲦᲕᲗᲐ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲞᲐᲗᲝᲚᲝ�გᲘᲔᲑᲘ ᲐᲬᲣᲮᲔᲑᲡ ᲐᲜᲓᲐ ᲑᲔᲢᲐ-ᲐᲓᲠᲔᲜᲝᲑᲚᲝᲙᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲞᲠᲔᲞᲐᲠᲐᲢᲔᲑᲡ ᲘᲦᲔᲑᲡ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲬᲔᲡᲘ, ᲙᲝᲛᲛᲐᲠᲘ ᲫᲘᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲢᲕᲘᲜᲨᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲛᲘᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲐᲠᲔᲡᲔᲑᲐᲡ ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲐ, — ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ. ᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐᲓᲘ ᲡᲘᲖᲛᲠᲔᲑᲘ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲐᲜ ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲢᲔᲛᲞᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲘᲐ. �გᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲡᲘᲖᲛᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲮᲨᲘᲠᲔ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲜᲢᲘᲓᲔᲞᲠᲔᲡᲐᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲖᲔ ᲐᲜ ᲖᲣᲠᲒᲖᲔ, ᲬᲔᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲡᲠᲔᲑᲨᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲣᲚ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲔᲑᲡ ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲐ. ᲡᲘᲖᲛᲠᲔᲑᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲕᲘᲜᲛᲔᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲥᲪᲔᲕᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲐᲡ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ, ᲐᲚᲪᲰᲔᲘᲛᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲙᲘᲜᲡᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲜᲘᲨᲐᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲜᲔᲠᲕᲣᲚᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲞᲐᲗᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲧᲝᲡ. ᲐᲚᲪᲝᲰᲝᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲬᲕᲐᲕᲔ ᲘᲜᲤᲔᲥᲪᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲙᲕᲔᲗᲠᲘ ᲡᲘᲖᲛᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲮᲓᲔᲑᲐ, ᲔᲠᲝᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲡᲘᲖᲛᲠᲔᲑᲘ ᲙᲘ, ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲐᲠᲗᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ, ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕ, ᲐᲠ ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲡ. ᲐᲡᲔᲗ ᲡᲘᲖᲛᲠᲔᲑᲡ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲮᲐᲜᲓᲐᲖᲛᲣᲚᲔᲑᲘ ᲮᲔᲓᲐᲕᲔᲜ.

„ᲭᲙᲕᲘᲐᲜᲘ“ ᲚᲘᲜᲖᲔᲑᲘ ᲓᲘᲐᲑᲔᲢᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢ-ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲗ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲣᲠ ᲚᲘᲜᲖᲔᲑᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲘᲐᲑᲔᲢᲘᲗ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲘ — „ᲭᲙᲕᲘᲐᲜᲘ ᲚᲘᲜᲖᲔᲑᲘ“ ᲡᲘᲡᲮᲚᲨᲘ �გᲚᲣᲙᲝᲖᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲡ ᲪᲠᲔᲛᲚᲘᲡ ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲔᲑᲡ. ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲑᲚᲝ�გᲖᲔ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘ ᲘᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲐ ᲒᲐᲜᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲘ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲒᲐᲛᲣᲓᲛᲔᲑᲘᲗ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲒᲚᲣᲙᲝᲖᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘ. ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲛᲐᲠᲢᲘᲕᲘᲐ: ᲚᲘᲜᲖᲔᲑᲘᲡ ᲝᲠ ᲤᲔᲜᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲡᲓᲔᲑᲐ ᲣᲡᲐᲓᲔᲜᲝ ᲩᲘᲞᲘ ᲓᲐ ᲒᲚᲣᲙᲝᲖᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲔᲜᲡᲝᲠᲘ. ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ „�გᲣ�გᲚᲘ“ ᲚᲘᲜᲖᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲢᲝᲢᲘᲞᲡ ᲢᲔᲡᲢᲐᲕᲡ, ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲑᲐ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲛᲐᲗᲨᲘ ᲨᲣᲥᲘᲡ ᲓᲘᲝᲛᲓᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲜᲢᲐᲟᲔᲑᲐᲪ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲛᲐᲚ ᲨᲔᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲡ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲡ, ᲗᲣᲙᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲨᲘ �გᲚᲣᲙᲝᲖᲘᲡ ᲓᲝᲜᲔ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚ ᲜᲘᲨᲜᲣᲚᲡ ᲛᲘᲣᲐᲮᲚᲝᲕᲓᲔᲑᲐ.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

4	3	7	6	2	5	1	9	8
2	6	1	9	8	7	5	4	3
9	5	8	1	4	3	2	7	6
3	1	2	8	9	4	7	6	5
8	4	6	5	7	2	3	1	9
7	9	5	3	1	6	8	2	4
1	2	9	4	3	8	6	5	7
6	8	4	7	5	1	9	3	2
5	7	3	2	6	9	4	8	1

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

2	1	9	4	8	3	7	5	6
6	8	7	5	2	1	4	3	9
3	5	4	6	9	7	2	1	8
1	4	8	3	7	2	9	6	5
5	9	6	1	4	8	3	2	7
7	3	2	9	5	6	1	8	4
9	2	5	8	3	4	6	7	1
4	7	1	2	6	5	8	9	3
8	6	3	7	1	9	5	4	2

ᲠᲗᲣᲚᲘ

9	2	1	6	5	8	7	4	3
8	7	4	3	2	1	6	9	5
6	5	3	4	9	7	2	1	8
5	1	2	8	3	9	4	7	6
4	6	7	2	1	5	3	8	9
3	9	8	7	6	4	1	5	2
2	4	9	1	8	6	5	3	7
7	8	6	5	4	3	9	2	1
1	3	5	9	7	2	8	6	4

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

7	1	2	5	8	4	9	6	3
6	5	9	7	3	2	4	1	8
8	4	3	1	9	6	7	5	2
4	2	8	3	7	1	6	9	5
5	3	1	6	4	9	2	8	7
9	7	6	8	2	5	3	4	1
3	9	7	4	1	8	5	2	6
2	8	5	9	6	3	1	7	4
1	6	4

ირმა გიგანი — როიალის 17 წლის ჯადოქარი

7 მარტს ვირტუოზი პიანისტი ჯანსუღ კახიძის კულტურულ-მუსიკალურ ცენტრში რახმანინოვს დაუკრავს

ვანო პავლიაშვილი

...აგვისტოს ომი ახალი დამთავრებული იყო... ხმა გავარდა, ვალერი გერგიევი რუსებისგან დაბომბილ ცხინვალში, ქართული ოკუპაციის გასაპრტესტებლად კონცერტის გამართავს გეგმავსო...

გავბრაზდი... თაკოც აღშფოთდა, ჩარკვიანი...

საუბარს შევყევით... ანაზდეულად, ავანტიურისტული იდეა გამიჩნდა... თაკოს ვეუბნები:

— არ შეიძლება, დაბომბილ ქართულ მიწაზე მუშკამ დაუკრას? — ეს ერთგვარი მშვიდობის მანიფესტი იქნება, რომელიც მსოფლიოს რუსულ აგრესიას კიდევ ერთხელ გაახსენებს-მეთქი?

ვიდრე თაკო რამეს მეტყვის, ირმა მპასუხობს:

— რატომაც არა?! დიდი სიამოვნებით დავუკრავ!

მაშინ ირმა 11 თუ 12 წლის იყო...

2008 წლის სექტემბერი... გორი... რუსული ჭურვებით დაბომბილი კორპუსის წინ სახელდახელო სცენაა... სცენაზე შავი როიალი დგას... ნაომარ კედლებზე ომის ამსახველი გულისშემძვრელი ფოტოებია გამოფენილი...

შემომგლისფერდა...

წვიმს...

თაკო ნერვიულობს და მართალიც არის: წვიმაში, ღია ცის ქვეშ გოგონა დაკვრას შეძლებს თუ ვერა?

— შევძლებ! — მტკიცედ ამბობს ირმა და... რუსული ოკუპაციით გათანგული ხალხი ვირტუოზ პიანისტს სულგანაბული უსმენს...

წვიმას ნატანჯი ქართველების ცრემლებიც ერევა და... ირმა გიგანის მშვიდობის მანიფესტის ხმა გორის სანახებთან მდგარ რუს ოკუპანტებამდეც აღწევს!..

მას შემდეგ წლები გავიდა...

ირმა გიგანი უკვე 17 წლისაა... მსოფლიოს არაერთი ქვეყნიდან აქვს მოწვევა, რაც ბუნებრივია: მუშკამ, როგორც მას შინაურები ვეძახით, მსოფლიო ჯერ კიდევ მაშინ გააოცა, როცა სამი წლის იყო...

სხვათა შორის, გაგონილი მაქვს, რამდენიმე წლის წინ, თუ არ ვცდები, იაპონიამ შესთავაზა, მსოფლიოს ცნობილ დარბაზებში იაპონიის სახელით გამოსულიყო... მაღალ ჰონორარსაც დაჰპირდა, მაგრამ ირმა გიგანმა უარი თქვა — ეს ლოგიკურიცაა, რამეთუ ირმა სახალხო პოეტ ჯასულ ჩარკვიანის შვილიშვილია!

ისე, ირმა ამბობს ხოლმე, ხასიათით ბაბუას ვგავარო...

„მიყვარს ფიქრი და წყნარი მუსიკის მოსმენა... დაკვრის დროს ემოციური ვარ. არ ვიღლები რახმანინოვის, ბეთჰოვენის და შოპენის მოსმენით — იმან, რაც გენიალურია, როგორ შეიძლება, დაგღალოს?!“ — ამბობს ირმა გიგანი...

სხვათა შორის, ირმა ოცნებობს, რომ კარნეგი ჰოლში დაუკრას. თუკი ირმას ბიოგრაფიას გადავხედავთ, ეს ოცნება კი არა, რეალობაა.

კარნეგი ჰოლამდე კი, 7 მარტს ჯანსულ კახიძის მუსიკალურ-კულტურის ცენტრში ირმა გიგანი რახმანინოვის 2 კონცერტს დაუკრავს (დირიჟორი ვახტანგ კახიძე). მუსიკათმცოდნეები ამბობენ, რომ რახმანინოვის 2 კონცერტი ერთობ რთულია, თუმცა მუშკასთვის სირთულეები არ არსებობს — გენისოები ნებისმიერ მწვერვალს ხომ ადვილად იპყრობენ!

— ღელავ? — ვეკითხები ირმას.

— ეს პროფესიული ღელვაა, — ჩვეული სიმშვიდით მპასუხობს, — სხვათა შორის, კონცერტის მერე ვერ ვიძინებ — გონებაში კონცერტს ვაანალიზებ, რაღაც დეტალებს ვარჩევ, ვაფასებ...

მოკლედ, 7 მარტს კლასიკური მუსიკის მოყვარულებს ნამდვილი დღესასწაული ელის — როიალის 17 წლის ჯადოქარი სცენას კიდევ ერთხელ დაიპყრობს!

დაიჯესტი

ძაღლის გასეირნებამ მილიონერად აქცია

კალიფორნიელმა წყვილმა, ძაღლის გასეირნებისას, ერთ-ერთი მრავალწლიანი ხის ქვეშ განძი — 10 მილიონ დოლარამდე ღირებულების ძველი ოქროს მონეტები იპოვა — პატარა ვედრო სავსე იყო 1847-94 წლებით დათარიღებული მონეტებით, ცოლ-ქმარმა 1,4 ათასი მონეტა აღმოაჩინა, ნუმიზმატების თქმით, ზოგიერთი მონეტა იმდენად ძველი და იშვიათია, რომ მილიონიც ღირს. ბედნიერმა წყვილმა ანონიმად დარჩენა ისურვა და არც საცხოვრებელი ადგილის გახმაურება უნდათ, „ოქროს ციებ-ცხელების“ რეციდივი რომ არ გამოიწვიონ. ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ აღმოჩენა კალიფორნიის ჩრდილოეთში, საკმაოდ ძველ სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიაზე მოხდა.

ყველაზე მეტ ღვინოს ვატიკანში სვამენ

კალიფორნიის ღვინის ინსტიტუტმა გამოკვლევა ჩაატარა და ევროპის ყველაზე „მსმელი“ ქვეყნები გამოავლინა. გასაკვირია, მაგრამ სიის პირველ საფეხურზე ვატიკანი აღმოჩნდა. სტატისტიკის მიხედვით, ამ ჯუჯასახელმწიფოს მცხოვრებნი უფრო მეტ ღვინოს მოიხმარენ, ვიდრე ევროპის სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. ვატიკანში, თითოეულ მცხოვრებზე დღეში 74 (!) ლიტრი ღვინო მოდის. National Catholic Register ამ მონაცემებს იმით ხსნის, რომ ვატიკანში ბავშვები არ არიან და მისი მოსახლეობის ძირითად ნაწილს მამაკაცები წარმოადგენენ. გარდა ამისა, ამ თეოკრატიულ სახელმწიფოში საკმაოდ ბევრი სტუმარი ჩადის. რეიტინგის მეორე ადგილზე ასევე ჯუჯაქვეყანა ლუქსემბურგი გავიდა, შემდეგ სიაში მოდიან ევროპის „ღვინის ქვეყნები“ — საფრანგეთი, პორტუგალია, ესპანეთი და იტალია.

შემწვარი ხორცი გონებას აჩლუნგებს



გრილზე ან ტაფაზე შემწვარი ხორცი ზრდის ჭკუასუსტობის განვითარების რისკს, — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი მეცნიერები, რომელთაც კვლევები ლაბორატორიულ ცხოველებზე ჩაატარეს. როგორც ჩანს, წვისას ხორცი გამოყოფს გარკვეულ ქიმიურ ელემენტებს, რაც აზიანებს ტვინს; მეტიც, სწავლულები ვარაუდობენ, რომ ამ „მავნე“ პროდუქტზე უარის თქმამ, შესაძლოა, ხელი შეუწყოს მეხსიერების აღდგენას ალცჰეიმერით დაავადებულ პაციენტებში. აღსანიშნავია, რომ შარშან ამ სენით დაავადებულთა რიცხვმა მსოფლიოში 44 მილიონს გადააჭარბა.

ლირიკული მუსიკა სევდის წინააღმდეგ

ლამაზი, სევდიანი მელოდიის მოსმენისას ადამიანი თავს აღწევს მოწყენილობას, — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ბრიტანელი სწავლულები. სამეცნიერო გამოკვლევაში 220 მოხალისე მონაწილეობდა. ისინი საკუთარი ცხოვრებიდან სამწუხარო მოვლენებს ან რაიმე ნეგატიურ გამოცდილებას იხსენებდნენ და ამავდროულად, სხვადასხვა ჟანრის მუსიკას ისმენდნენ. აღმოჩნდა, რომ იმ დროს, როცა წყნარი მელოდია უკრავდა, სტრესის დონე ქვეითდებოდა და მოხალისეების განწყობაც უმჯობესდებოდა. კვლევები ჯერჯერობით გრძელდება, რადგან მეცნიერებმა ვერ დაადგინეს მოვლენის მიზეზშედეგობრივი კავშირი.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, ნათია ვასაძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.